



# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
[WWW.opentext.ge/menora](http://WWW.opentext.ge/menora)

სამყარო სამ საურდენზე დგას: თორავზე, ღ-თის სამსახურსა და  
ქველმოქმედებაზე **შირაპი ავით**

გერაული გაზეთი საქართველოში MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA	„מנורה“ עיתון יהודי בגוריה	„МЕНОРА“ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ
--	----------------------------------	--

თბილისი (შპსი) 1-15 №3 (219) (5766 ფილი) 2006 წელი ფასი 50 თეთრი
--

# הוראה

## შესვდრა აუზ ელჩ ჯონ ტეფტთან



გზის თაობაზე, იმ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობდა და არსებობს ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის, ბ-ნმა მეირ ზიზოვმა ბ-ნ ჯონ ტეფტს აუწყა, რომ ვიდრე საქართველო თავის თავს ეკუთვნოდა, საქართველოში არ ყოფილა სახელმწიფოებრივი ანტისემიტობა, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი დაკარგა, შეინიშნება ცალკეული ანტისემიტური აქციები, რომელსაც გამოხატავდა ქართული ინტელიგენცია.

ბ-ნმა მეირ ზიზოვმა ბ-ნ ჯონ ტეფტს უამბო „ჯოინთის“ საქართველოში მოღვაწეობის თაობაზე.

– უკვე თორმეტი წელია საქართველოში ვმუშაობთ და მინდა გაუწყლოთ, რომ აშშ ებრაელების ეს საქველმოქმედო ორგანიზაცია ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს ამ ქვეყანაში. ამ ათიწლიანი წლის წინათ „ჯოინთმა“ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ხელმოკლე

დღობა იმის გამო, რაც შარშან, მაისში ვაშინგტონში ჰქმენით – თქვენ, მაშინ სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკი, ხელმძღვანელობით სხდომას, რომელზეც განიხილებოდა რუსეთის ბაზების დსთ-ს ქვეყნებში ყოფნის საკითხი. გასსოვთ, ალბათ, მე შემეკამათა რუსეთის წარმომადგენელი, რომელმაც რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნა აუცილებლობად მიიჩნია. მაღლობა მინდა გითხრათ, იმის გამო, რომ იმ დღეს მომეცით საშუალება ვრცელად და არგუმენტირებულად შევასუხა ოპონენტისადმი. იმ დღეს თქვენს მხარდაჭერასაც ვგრძნობდი. ჩვენ, ქართველი ებრაელები, ერთობ ერთგულნი ვართ საქართველოს ინტერესებისა, ისევე როგორც აშშ ებრაელები – ამ შტატებისა. ისტორიულად ასე იყო – საქართველოს ინტერესებით ვცხოვრობდით. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის ისტორიული საშობლო – ისრაელი გულის ფიცარზე გვეწერებოდა – ქართველ ებრაელთა 80% დღეს ისრაელის მოქალაქეა. ქართველი ებრაელები ცხოვრობენ აშშ-ში, რუსეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, თუ სხვა ქვეყნებში. ამას წინათ, შეიქმნა ორგანიზაცია – საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ამოცანად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის ებრაელების გაერთიანებას.

და ბოლოს ერთი, ჩემის აზრით მნიშვნელოვანი მომენტის თაობაზე: ძალიან გვახარებს ის, რომ აშშ ასე სერიოზულად ზრუნავს საქართველოზე, დღევანდელ საქართველოში აშშ განიხილება, როგორც ერთ-ერთი მზრუნველი მფარველი და პატრონი.

და ბოლოს მინდა ჩვენი გაზეთის – საქართველოში გამოქვეყნებული ებრაული გაზეთის „მენორას“ ორი ძველი ნომერი მიძღვნათ. მოგეხსენებათ, ღვინო და გაზეთი მით უფრო კარგია, რაც უფრო ძველია. გაზეთის ამ ინგლისურენოვან ნომერებში საქართველოს, ქა-

რთველი ებრაელების თაობაზე ბევრ საინტერესო ცნობას ამოვიტავთ.

ბ-ნმა ჯონ ტეფტმა გამოხატა მკაფიო იმედები მეტად საინტერესო, საჭირო ინფორმაციის მიღების გამო. ილაპარაკა ამერიკის ებრაელების როლზე აშშ ეკონომიკის განვითარების საქმეში, იმაზე, თუ რაოდენ არიან ისინი წარმოდგენილი აშშ ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში.

– ებრაელებთან ბევრი რამ მაკავშირებს. ბავშვობაში მყავდა ებრაელი მეგობარი. იგი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა და ხშირად დავყავი ებრაულ ღონისძიებებზე, სინაგოგაშიც დავყავი, მერე მე, კათოლიკეს, იმდენად დამაინტერესა ოუდაისმმა, რომ ვვინებ, უკეთ ვიცი იგი, ვიდრე ბევრმა ებრაელმა. დიპლომატიური სამსახური კი ისრაელში დავიწყე, ვკითხულობდი კიდევ ებრაულ ენაზე, ახლა, ალბათ, ამას ვეღარ მოვახერხებ. ჩემი გოგონა იერუსალიმში დაიბადა. ასე რომ ეს სამყარო ჩემთვის უცხო არ არის. თქვენ ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ. ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი ყოველმხრივ დაგეხმარო.

მეირ ზიზოვმა ბ-ნ ჯონ ტეფტმა ებრაულ სახელში მოიწვია. ჯონ ტეფტმა მიწვევა სიამოვნებით მიიღო.

გამომშვიდობებისას ისიც გაიკვია, რომ ჯონ ტეფტის ქალიშვილი ვაშინგტონის თეატრ „არენა სტიუდო“ მსახურობს ამიტომ დრამატურგს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს გურამ ბათიაშვილსა და ბატონ ელჩს ბევრი რამ აღმოაჩნდათ საერთო. ბ-ნმა ჯონ ტეფტმა შ. რუსთაველის სახ. თეატრში ნანახი სპექტაკლის „სტიქის“ თაობაზე შთაბეჭდილება გაუზიარა მწერალს. მან კი თავისი პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლზე მიიწვია ბ-ნი ელჩი. ასე რომ შეხვედრა არა მხოლოდ კონსტრუქციული გახლდათ, სასიამოვნოც.

ამერიკის შერთებული შტატების ახალი ელჩი ჯონ ტეფტი რამდენიმე თვეა თბილისში ჩამოვიდა და მუშაობას შეუდგა. იგი აქამდე ვერ შეხვდა აშშ ებრაელების საქველმოქმედო გამარჯვებული ორგანიზაციის „ჯოინთის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობას. ამის მიზეზი ერთი მხრივ ამერიკა-კასიაში „ჯოინთის“ პროგრამების ხელმძღვანელის მეირ ზიზოვის ავადმყოფობა გახლდათ, მეორეს მხრივ ჯონ ტეფტის მოუცლევლობა – აშშ საელჩოს ახალი ნაგებობის გახსნა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

თუმცადა, ბ-ნ ელჩს საქართველოს ებრაელობა უყურადღებოდ არ დაუტოვებია – იგი რომ ჰამანის შემობრძანების საღამოს ბეით ქნესეთში გვეწვია, ისრაელის საელჩოს მიერ მოწოდებულ საახალწლო დარბაზობაზეც გახლდათ. ასე რომ მიუხედავად მოუცლევლობისა, ბ-ნი ტეფტისათვის ებრაული თემის ინტერესები უცხო არ გახლავთ.

ამ დღეებში კი, აშშ ალჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო ბატონი მეირ ზიზოვი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ელასოვი და მწერალი, თბილისის შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი გაზეთ „მენორას“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი.

ბატონმა მეირ ზიზოვმა ელჩს უამბო ებრაელების საქართველოში ცხოვრების გრძელი

ებრაელთა, მზრუნველობის მოკლებულ მოხუცთა ფიზიკური გადარჩენის საქმეში. იყო დრო, როცა სახელმწიფოს არ ძალუძდა მათი შენახვა, და როცა მათზე ზრუნვა „ჯოინთმა“ ითავა, ბევრი მოხუცი სიკვდილს გამოვსტაცეთ ხელიდან.

დღეს თბილისში ფუნქციონირებს „ხესედ ელიაჰუ“, საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ათასხუთასამდე მოხუცს, ავადმყოფსა და უქონელს ეხმარება, ასეთივე ორგანიზაციები გვაქვს გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ონში, ახალციხეში. სამწუხაროა, რომ ჩვენი ერის ხალხს ამგვარი დახმარება სჭირდება, მაგრამ ებრაული თანადგომაც სწორედ ეს არის – ყოველი ებრაელი ვალდებულია იზრუნოს მეორე ებრაელის ბედზე.

ამერიკის ებრაელობა განა მხოლოდ მოძველებული ფიზიკური გადარჩენას – შიმშილით, ავადმყოფობით სიკვდილს ებრძვის, ცდილობს სულებიერი საზრდოც მისცეს საქართველოს ებრაელობას – ბიზნესმენმა ჰენრი პოზნერ III თბილისში ააშენა ებრაული სახლი, რომელიც საქართველოს ებრაელების კულტურის კერა გახდა.

მწერალმა გურამ ბათიაშვილმა აშშ ელჩს უამბო საქართველოს ებრაელების თაობაზე, იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნა მან თავისი ეროვნული და რელიგიური თავისთავადობა.

– ბატონო ელჩო, დღეს მინდა გითხრათ მა-



# იმ ღამეს, ალბათ, მსოფლიო მათ ეპინათ, ვინც მანამდე დაიძინა

## ქართველმა ებრაელებმა საბჭოთა კავშირის მთელ ებრაელობას ისტორიული სამშობლოსკენ გაუსწესეს გზა. ლელა ოჩიაური

**„რამუნანსი“:** რა მიზნით იყავით ამჟვე-რად ისრაელში?

**შურამ ბათიაშვილი:** მომავალ თვეში, ჩემი სცენარის მიხედვით, მერაბ კოკოჩავის მიხედვით შეუდგება ახალი დოკუმენტური ფილმის გადაღებას, რომლის პირობითი სათაურია „წერა“.

**„რ“:** რა წერილია ეს და რა კავშირი აქვს ისრაელთან?

**გ. ბ.:** 1969 წელს 18 ქართველი ებრაელის ოჯახმა გააკეთა იმ დროისთვის გაუგონარი საქმე – გაეროში გაგზავნეს წერილი, სადაც წერდნენ, რომ უნდოდით საბჭოთა კავშირიდან ისრაელში საცხოვრებლად წასვლა. ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. შემდეგ მეორე წერილი გაგზავნეს და როდესაც რეაგირება ისევ არ იყო, 36 ადამიანი წავიდა მოსკოვში, შეხვედრა უნდოდით პოდგორნისთან (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან), მაგრამ ვერც ეს მოახერხეს და ცენტრალურ ფოსტაში საბჭოთა მიმართულებით მიმავალი წერილი, პირველი შიშობა საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ცხადია, ჩვენთვის ყველაზე დაფარული იყო. მომომზადებული მესამე დღეს, გვიან ღამით აურიფეს, არ დაიჭირეს, ჩასვეს მატარებელში და საქართველოში გამოუშვეს.

ებრაულ სამყაროში, განსაკუთრებით ისრაელში ეს ისტორია ძალიან განმარტდა. მოგვიანებით, წერილს მიუღო მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა. და აი, რატომ: როდესაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს გრომიოს გაეროში ჰკითხეს, რატომ აბრკოლებთ ებრაელებს რეპატრაციასო, მან გამოაცხადა, რომ არცერთ ებრაულ საბჭოთა კავშირიდან წასვლა არ უნდა, რადგან ესაა მათი სამშობლო, რომლის დატოვების სურვილი არაფერს აქვსო. სწორედ მაშინ დაიწყო წინ ქართველი ებრაელების წერილი. თუმცა, ამ ფაქტმა მაშინ რეპატრაციის საკითხებში რადიკალური ცვლილებები იწვევა, რომლებშიც მათი მიზნით დაიწყო მოსკოვიდან გასვლა საბჭოთა კავშირიდან.

გოლა მეორე წერს: „რომ არ ყოფილიყო 18 ქართველი ებრაელის ოჯახის ეს წერილი, რეპატრაცია საბჭოთა კავშირიდან საერთოდ არ იქნებოდა. ამ 18 ოჯახის ბრძოლა თავიანთი უფლებებისა და რეპატრაციისთვის ნათელია მწერლებისა და ისტორიკოსებისთვის“. ასე რომ, ქართველმა ებრაელებმა საბჭოთა კავშირის მთელ ებრაელობას ისტორიული სამშობლოსკენ გაუსწესეს გზა.

**„რ“:** რა გვარები იყვნენ ეს გულადი ადამიანები?

**გ. ბ.:** ელაშვილები, მიხელაშვილები, თეთრუაშვილები, აიკოშვილები, ბატონიშვილები და სხვა. ამ 18 ქართველი ებრაელიდან 14 ქეთა-ისელი იყო, ერთი – კულაშვილი, ორი – ფოთიდან და ერთი – თბილისელი. ძალიან საინტერესოა მათი მეთაურის – შაბთაი (შოთა) ელაშვილის ბიოგრაფია.

**„რ“:** რა გვარები იყვნენ ეს გულადი ადამიანები?

**გ. ბ.:** ელაშვილები, მიხელაშვილები, თეთრუაშვილები, აიკოშვილები, ბატონიშვილები და სხვა. ამ 18 ქართველი ებრაელიდან 14 ქეთა-ისელი იყო, ერთი – კულაშვილი, ორი – ფოთიდან და ერთი – თბილისელი. ძალიან საინტერესოა მათი მეთაურის – შაბთაი (შოთა) ელაშვილის ბიოგრაფია.

იგი ქუთაისში ცხოვრობდა. საკმაოდ შეძლებული, როგორც ამბობენ, განათლებული და გონიერი, ძალიან მორწმუნე კაცი იყო, რომელსაც არანაირი სოციალური პრობლემა არ ჰქონდა, მაგრამ მასში იმდენად ძლიერი იყო ლტოლვა ისტორიული სამშობლოსკენ, რომ ყველაფერი დატოვა. მაგრამ ერთი საინტერესო რამ მოხდა. შაბთაი ელაშვილი და ბრისი გაპონოვი („ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი) ერთდროულად ცხოვრობდნენ ქუთაისში, თითქმის ერთდროულად იბრძოდნენ რეპატრაციისათვის, ერთდროულად მიიღეს წასვლის უფლება და შემდგომი ბედით ერთნაირი ჰქონდათ. ამ დაძაბული ბრძოლის შედეგად ორივეს უკურნებელი სენი შეეყარა, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისთვის ორივე მებრძოლი თელ-ავივში საკაცით ჩაიყვანეს. შაბთაი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ისე რომ ისრაელის მიწაზე ფეხი ვერ დადგა.

ამ ისტორიის ამსახველი ფილმის მოსამზადებელი წინასწარი სამუშაოების გამო ვიყავი ისრაელში. უნდა შევხვედროდი იმ 18 ქართველი ებრაელის ოჯახის წევრებს. ბრძოლაში, შიშმა, ტრამეებმა, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. ცო-

ლანსკოვსკი, სხელომდელი პრემიის ლაურეატი, ჟურნალის „თესურა და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორი, ებრაული გზავნილის „მცნობა“ გამომცემელი, ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე გურამ ბათიაშვილი ისრაელში იმ პერიოდში იმყოფებოდა, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება, ზრდილ მართვის ავადმყოფობის გამო, ატარებდა მინისკენ იყო მიპყრობილი.

რამდენიმე წლის წინათ, სწორედ გურამ ბათიაშვილის იდეით და სცენარით, საქართველოში ზრდილ მართვის მესხები ფილმი გადაიღეს. ამჯერად ქრამისკურგმა ხსალი სცენარის და წერა, რომელსაც საფუძვლად ქართველი ებრაელების 18 ოჯახის მიერ გაეროში, რეპატრაციის მიზნით, გზავნილი წერილი და იგივე მიზნით პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მოსკოვში გამართული მასობრივი მიმართულება დავდა.

ცხადია რამდენიმე კაცი, მათ შორის შაბთაი ელაშვილის შვილი, რომელიც წერილს ასევე აწერდა ხელს. არიან სხვა და სხვათა შვილები. რაც შეეხება შიშობის მონაწილეებს, მათგან 5 რამდენიმე კაცს მივაგენი. ერთ მათგანს ამ ყველაფრის გახსენება არ სურს, კატეგორიული უარის განმცხადდა. ოთხთნა მოლაპარაკება მჭონდა და როდესაც გადასაღებად ჩავალთ, ისინი ჩვენ ფილმში მონაწილეობას მიიღებენ.

სწორედ ისრაელში ჩემი ყოფნის დროს მოხდა ის, რომ არიელ შარონმა, პოლიტიკური ცხოვრების ვეზა, ფაქტობრივად, დაასრულა.

**„რ“:** თქვენ ხომ ფილმი გაქვთ მის შესახებ გადაღებული?

**გ. ბ.:** დიახ, ფილმი, რომლის რეჟისორია მე-რამ კოკოჩავის შვილი, ოპერატორი – გოგი თორაძე, ჩემი სცენარით გაკეთდა. მისი შექმნის ისტორიას ცოტა შორიდან დავიწყებ: 80-იანი წლების დასაწყისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ისრაელს ესტუმრა. როდესაც დაბრუნდა, რამდენიმე კაცს შეგვხვდა, ამ ვიზიტის შესახებ გვესაუბრა და გვიამბო: გამოფრენისას, აეროპორტში ჩემს გასაცემად დადიოდა ერთი გენერალი მოვიდა და მითხრა, რომ ჩემი მშობლები თბილისელები იყვნენ, ბებია კი დღესაც იქაა დასაფლავებული. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს გენერალი იყო არიელ შარონი.

იმ პერიოდში, სულ მესობდა, რომ შარონი აგრესორი, ქორი, დაუნდობელი, სასტიკი – საბჭოთა პროპაგანდა მას საშინელი ეპითეტებით ამბობდა. აღმოჩნდა, რომ ესაა ადამიანი, ვისაც ბებების საფლავი ახსოვს. ერთი მხრივ, პიროვნება, რომელიც არის მტრის რისხვა. სამშობლოს ინტერესებისთვის ხმალაძობებული მე-ბრძოლი და ამავე დროს, ადამიანური თვისებებით შემოვლილი. ეს განსაკუთრებულ გრძობას იწვევდა.

შემდეგ, როდესაც 1999 წელს, შარონი (მაშინ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი) საქართველოში ნეთანიაჟისთან ერთად ჩამოვიდა, კრწანისში, საბჭოთაო ბანკებზე პრეზენტაციამ ელაშვილს შეეგრძნობა რამდენიმე ადამიანის სიხვედრა, იქნებ, შარონს ბებების საფლავის მოძებნაში დაეხმარებო.

მართლაც, მეორე დღეს წავიდეთ სასაფლაოზე. საფლავი ძალიან დიდხანს ვეძებთ. ვერ ვიპოვეთ და შარონმა გვითხრა, რას ვინაშით, ისიც სასიამოვნოა, რომ იმ საფლაოზე ვიყავი, სადაც ბებია მარხიაო. ამ დროს, ვილაპარაკე საფლავი დაიანახა, რომელიც თურმე იქვე. შესასვლელთან ყოფილა. ხოლო მანამდე, იმ სახლის დათვალიერების შემდეგ, სადაც შარონის მშობლები ცხოვრობდნენ, მან გვითხრა, უნივერსიტეტში ხომ არ წამიყვანითო. წავიდეთ და ვარაზისხვევიდან რომ კიბეებია, იქ გავაჩერეთ მაქნანები.

ვიგრძობდი, რომ შარონს ჩვენთან ერთად არ უნდოდა ყოფნა. წინ გავარდა, დაცვაზე ხელით ანიშნა, მოსცილებოდნენ, დადიოდა ეზოში და შევამჩნიე, სულ გოგონებს ელაპარაკებოდა. ბაღში, დაახლოებით, 20 წუთი იარა. მერე ვკითხე, გო-

**„შარონის ოჯახში საქართველო მუდამ, ანსებობდა“**

გოვებს რატომ ესაუბრებო-მეთქი? მაშინვე მისი ვთქვამო, მან ალბათ ასე გაიცნო ლედაქმი უნივერსიტეტის ეზოში. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ორივე იქ სწავლობდა, მამა – აგრონომიულზე, დედა – სამედიცინოზე.

ამ ორმა ფაქტმა, რომელიც ძალიან მომეწონა, შარონი სრულიად სხვანაირად დამანახა და სწორედ მაშინ გადავიწყვიტე, რომ ეს დამოუდებუ-

ლება რაიმე სახით გამომეხატა, ან დამეწერა, ან ფილმი გამეკეთებინა. ადამიანი, რომელიც წინაპრების ხსოვას ასე ინახავს, მათ საფლავებს ასე უყვლის, არ შეიძლება სხვის საფლავებს აუკად მოექცეს. ისიც დაეინახე, რომ მის შესახებ ყველაფერი გამოვინიღო იყო.

დავიწყე სცენარის წერა, მაგრამ ძალიან ცოტა მასალა მჭონდა. შემდეგ ისრაელში მომიხდა წასვლა, შარონს დაეუკავშირდი და შეხვედრა ვითხოვე. იგი საგარეო საქმეთა მინისტრი აღარ იყო და იყო პარლამენტის ოპოზიციის ლიდერი.

სამი საათი ვისხედით პარლამენტში, კუთხარი, რისი გაკეთებაც მინდოდა, ასე რატომ მაინტერესებდა მისი ოჯახის ამბები. როდესაც საუბარი დაკამათავრეთ, მეთხრა, ფილმის გადაღება რა დაგეგმათ. კუთხარი, დაახლოებით, რაც დაგეგმათ. ფული გაქვით? არც ერთი კაპი-მეთქი. კარგი, თქვენ სცენარი გააკეთეთ და მე დაგაფინანსებო. (შარონი ძალიან მდიდარი კაცია, საკუთარი ფერმა აქვს, ძალიან უყვარს სოფლის მეურნეობა).

საქართველოში ძალიან გახარებული ჩამოვიდი, მაგრამ მაშინ ინტენსიურად ემუშავებოდა. შარონი ჩქარა ვერ დავხვრეთ. ამასობაში, ორი წელი გავიდა და შარონიც პრემიერ-მინისტრი გახდა. სიტუაცია ძალიან შეიცვალა.

ისრაელი ძალიან დემოკრატიული ქვეყანა და საუბარის იყო. ვინმეს, პრემიერ-მინისტრის ოპოზიციიდან გაგეგო, შარონი მასზე ფილმის გადაღებას აფინანსებდა, ერთი უბედურება ატყფლებოდა. მეც, ბუნებრივია, გავჩერდი. შემდეგ, პეტერბურგში მოვლავწ ქართველ ებრაელ ბიზნესმენს, კონსტანტინე მირიანაშვილს ვითხოვე და ფილმი მან დაგვიფინანსა.

2003 წელს იერუსალიმში მსოფლიოს ქართველ ებრაელთა კონგრესი შეიქმნა, სადაც ფილმიდან რამდენიმე ფრაგმენტ ვაჩვენეთ. შემდეგ შარონის თანაშემწემ დამირეკა და მითხრა, ძალიან უნდა თქვენს ფილმის თავიდან ბოლომდე ნახეთ.

ფილმი ძალიან მოეწონა, ძალიან კმაყოფილი იყო. ბოლოს მითხრა, მასსოვს, რომ დაგვირდით, დაგვიფინანსებთო. კი, ეგრე იყო-მეთქი. რაღაც არ მაგონდება, რომ თქვენ ფილმი მოგეცითო. არ მოგიტოვებ-მეთქი. რატომ არ შე-მასხენითო? კუთხარი: როდესაც დამირდით, მაშინ ოპოზიციამ იყავით, შემდეგ პრემიერ-მინისტრი გახდით და თქვენთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იქნებოდა, თქვენს შესახებ ფილმის დაფინანსება-მეთქი. მაშინ თქვა ფრაზა, რომელიც ძალიან დამამახსოვრდა – „... ყოჩაღ, ქართველებო! აი, ასეთი ხალხია ქართველები!...“

ჩვენი საუბარი ალბათ, იმით იქნება საინტერესო, თუ ვიტყვით, რა სიტუაცია შეიქმნა სახელმწიფოში შარონის დღევანდელი მდგომარეობის გამო, რა სისტემით ცხოვრობს ქვეყანა და რა სულიკვეთებზე აგებული იყო ყველაფერი.

**„რ“:** მართლაც, ძალიან საინტერესოა, რადგან თქვენ ამ ყველაფერს უშუალო შეესწარი.

**გ. ბ.:** რადგან შარონი „ლიკუდიდან“ გამოვიდა, მის ნაცვლად, ლიდერად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჟი აირჩიეს, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, შარონის მერიტული ოპონენტი იყო. მან მაშინვე გამოაცხადა, რომ ჩვენი პარტიის ყოველი წევრი მთავრობიდან უნდა გამოვიდესო. ეს იყო შარონის ხელისუფლების დასუსტების ერთ-ერთი ფორმა. 2 ანგარს ნეთანიაჟუმ, გამოაცხადა, რომ ჩვენი პა-

რტია და მინისტრები მთავრობას ტოვებენ.

შარონი ცუდად 4 იანვრის საღამოს 10 საათზე გახდა. იმ ღამეს ალბათ, მსოფლიო მათ ეძინათ, ვინც მანამდე დაიძინა. მთელი ღამის განმავლობაში სახელმწიფოში მდგომარეობა ძალიან საგანგაშო იყო. საავადმყოფოსთან, სადაც იგი გადაიყვანეს, არ შეწყვეტილა მთავრობის წევრების, საზოგადო მოღვაწეების, ხალხის მსვლელობა.

მეორე დღეს ნეთანიაჟუმ პრეს-კონფერენცია გამართა და გამოაცხადა, რომ ყველა მინისტრი, ვინც მთავრობაში ჩვენი პარტიიდანაა, ადგილზე რჩება; ახლა საჭიროა ერთიანობა შევინარჩუნოთ; ყოველგვარი ბრძოლა, ყოველგვარი პარტიული წინააღმდეგობა გვერდზე უნდა გადავდოთ. გამოვიდა ყველა პარტიის ლიდერი და თანადგომა გამოუცხადა იმ ადამიანს, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ აზროვნებდა. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება შარონის ახლო მეგობარს ეპედ ოლმერტს დაევალა.

ყველა პოლიტიკური ძალა შეეცაბა და დაბნეულობას, რომელიც სახელმწიფოში პირველ დამესა და მეორე დღესაც სუფევდა, ამ გაერთიანებამ ბოლო მოუღო.

### ძალიან დიდი კაცი წაიქცა

ისრაელში ძალიან დიდი რუსული ტელევიზიაა, სადაც იმ დღეებში მიმიწვიეს. ჩემზე წინ მიწვიეს იყო ნათან შარონსი. იგი ისრაელის მთავრობის წევრი იყო, შემდეგ შარონს ოპოზიციამ ჩაუდგა და მთავრობიდან გამოვიდა. (სხვათა შორის, 23 ნოემბერს, იგი პრეზიდენტის მოწვევით, თბილისშიც იყო ჩამოსული). მას წამყვანმა ჰკითხა, შარონი რუსულად თუ გელაპარაკებოდითო.

შარონსიმ უპასუხა, დიახ იგი რუსულად ქართული აქცენტით საუბრობდაო. შემდეგ უკვე თითქმის მეც გავედი და ვითხვებ, ამას თქვენ თუ ამჩნევდითო. რასაკვირველია, აქცენტს კი ვამჩნევდი, მაგრამ არა ქართულ, არამედ აღმოსავლურ აქცენტად მიამჩნია.

რატომ არის საინტერესო, რომ შარონი რუსულად ქართული აქცენტით ლაპარაკობდა?! მისი მშობლები საქართველოდან 1921 წლის ბოლოს წავიდნენ და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩავიდნენ ისრაელში. შვიდი წლის შემდეგ იბადება შარონი და აქვს ქართული აქცენტი. შარონის ოჯახში საქართველო მუდამ არსებობდა. როგორც ჩანს, ქართული აქცენტით მისი მშობლები ლაპარაკობდნენ და თავიანთი ინტონაცია შევლსაც გადასცეს.

მასხენდება შარონის ნათქვამი. რომ სახლში დღემდე აქვთ თბილისიდან წაღებული ხანჯალი, რომელიც ოჯახს დიდ სამსახურს უწევდა და რომელიც დედამისს თურმე სულ ბაბიშის ქვეშ ედო. დაბაში – მაღალი, სადაც შარონი დაიბადა, დამე თურმე თავს არაბები ესმოდნენ ხოლმე, დედა ამ ხანჯალს დააძირებდა და თავდამსხვებებს ყოველთვის უხვდებოდა. ახლაც, შარონი ამბობდა, ხანჯალი ცხენის დასატყვევლად მადგებოდა.

მას ძალიან უყვარს ქართული მუსიკალური ფორმები. ძალიან უყვარს ქართული სამხარეული. მეც შევსწრებივარ, საქართველოში ისრაელის დღევანდელ ელჩს შაბთაი ცუვრს წინასწარ ურეკავდა, ამა და ამ დღეს ჩამოვიდევარ და ქართული კერძები დამახვედრეო.

**ადამიანი, რომელიც წინაპრების ხსოვას ასე ინახავს, მათ საფლავებს ასე უყვლის, არ შეიძლება სხვის საფლავებს აუკად მოექცეს. ისიც დაეინახე, რომ მის შესახებ ყველაფერი გამოვინიღო იყო.**

პოლიტიკური ბრძოლა ისრაელში ძალიან მძაფრია. საქართველოდან წასულ კაცს, რა უნდა უკვირდეს, მაგრამ, რომ ვადარებ, ჩვენთან, ამ მხრივ, სამოთხეა. ვიდრე შარონი ფეხზე იდგა, მისი მისამართით ათასი ცილისმწამებლური, თუ მართალი ინფორმაცია იბეჭდებოდა პრესაში, მეც კი, აღშფოთებული ვიყავი. მაგრამ, როგორც კი ეს მბავი მოხდა, ყველა გაერთიანდა, რადგან მართლა ძალიან დიდი კაცი წაიქცა. ყველა იყო ერთ პოზიციანზე, ყველა ფიქრობდა, ამბობდა, ახლა არაფერი შეგვეშალოს, ახლა ვიყოთ ფრთხილად, ხომ იცით, გარემოცვა როგორიაო.

თუმცა, დაახლოებით, ხუთი დღის შემდეგ უკვე ყველაფერი დალაგდა. სახელმწიფოს შიშის, პანიკის აღარაფერი ეტყობოდა, ნეთანიაჟუმ თავისი მინისტრები გამოიხმო და მთავრობა დაატოვებინა. დღეს ისრაელში სულ სხვა მთავრობაა, ვიდრე ორი თვის წინ იყო და პოლიტიკური ბრძოლა ისევ გაგრძელდა.

გაზეთი „რეზონანსი“ 25 იანვარი, 2006 წ.

ღან მიხაელი:

# მოხიბლული ვარ...

სამწუხარო ცნობა მოვიდა ისრაელიდან – გარდაცვალა ისრაელის ქართველ ებრაელთა თემის საუკეთესო წარმომადგენელი, მედიცინის პროფესორი, გენერალი დან მიხაელი.

გუსამძიმრებთ რა გარდაცვლილის ოჯახს, გთავაზობთ გახეთ „მენორაში“ ათი წლის წინათ 1996 წელს დაბეჭდილ საუბარს ბ-ნ დან მიხაელთან. ეს საუბარი მკითხველს უთუოდ დაინტერესებს.

არიან ადამიანები, სამშობლოს ყოველდღიურობით რომ ცხოვრობენ, მათი მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპთან. დღევანდელი ისრაელის პირობებში ასეთ პიროვნებად წარმოგვიდგება ბ-ნი **ღან მიხაელი** – პროფესორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ისრაელის არმიასა და საზოგადოებრიობაში ერთობ ცნობილი პიროვნება, რომელიც მაისში თბილისში იმყოფებოდა.

– ბ-ნო დან, თქვენი სახელი ცნობილია საქართველოში, როგორც ისრაელის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა. ჩვენი სახელმწიფოს ებრაული საზოგადოებრიობა გიცნობთ და გაფასობთ. იცნავენ, რომ წარმოშობით საქართველოდან ხართ, მაგრამ ცნობები მაინც მწირი ვგაქვს. იქნებ ჩვენი საუბარი დაგვიწყობს იქიდან, თუ როდის გაემგზავრნენ თქვენი წინაპრები საქართველოდან და საერთოდ, როგორია თქვენს მიერ გაკეთებული სამედიცინო, საზოგადო მოღვაწის გზა.

– ბაბუა, გვარად მიხელაშვილი, დაიბადა საქართველოში, სოფ. სუჯუნაში. იმხანად სუჯუნა დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა, სადაც ცხოვრობდნენ ებრაული გვარის სახელგანთქმული წარმომადგენლები. ერთ-ერთი ასეთი იყო მიხელაშვილის გვარი. მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოდან და კერძოდ, სუჯუნადან არაერთი ოჯახი გაემგზავრა ისრაელს, მათ შორის ბაბუაჩემის ოჯახიც. ეს იყო 110 წლის წინათ. ისინი იერუსალიმში დასახლდნენ.

1912-1913 წლებში ბაბუა და ბებია ჩამოვიდნენ საქართველოში და ძირძველი მსოფლიო ომის დაწყების წინ კვლავ გაემგზავრნენ ისრაელში. მას შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოსულან იმ პერიოდის ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო.

მამაჩემი დაიბადა იერუსალიმში. დედაჩემი აშქენაზია, მისი წინაპრები თითქმის 200 წელია ცხოვრობენ იერუსალიმში.

დავებიდან 1933 წელს იერუსალიმში, იქვე გავიზარე და დაავითარე საშუალო სკოლა.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ქვეყნეულად ბევრმა მოვლენამ იქონია ჩემზე გავლენა, მაგრამ განსაკუთრებით მაგონდება სკოლის დამთავრების ცერემონია, როდესაც სკოლის დირექტორმა ბეიუთხრა: თქვენ სტოიკით სკოლის კედლებს, ბედნიერები ხართ, რომ მიიღეთ ასეთი განათლება, თქვენი მოვალეობაა ემსახუროთ სამშობლოს და გადასცეთ თქვენს მიერ შექმნილი ცოდნა ახალ თაობებს. მე მაშინ 17 წლის ვიყავი – ისრაელის სახელმწიფო იმ პერიოდში ფაილიდებოდა, და ბედნიერი ვარ, რომ იმ დროიდან მოყოლებული ისრაელის სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ვწეოდი სასარგებლო საქმიანობას ხალხისათვის და ისრაელის სახელმწიფოსათვის.

1948 წელს დამოუკიდებლობისათვის ომის დროს 15 წლის ასაკში „ახალგაზრდა ბატალიონში“ ვიბრძოდი, ისევე როგორც ჩემი სკოლის მეგობრები და სხვა თანატოლები.

1950 წელს შვეიცარიამი გაემგზავრე სასწავლებლად, რადგანაც იმჟამად ისრაელში არ იყო მაღალი დონის სამედიცინო ინსტიტუტი. 1954 წელს დაებრუნე ისრაელში და აქ გავაგრძელე სამედიცინო განათლება. 1957 წელს მუშაობა დავიწყე ექიმად საავადმყოფოში „თელ ჰაშომერ“. 1958 წელს მივიღე მედიცინის დოქტორის წოდება. იმავე წელს გამოვიყვანე ვარში, პარაშუტისტთა ბატალიონში, სადაც დავეწყე სამხედრო ექიმად მუშაობა. მას შემდეგ 22 წლის განმავლობაში, მონაცვლეობით ემოღვაწეობდი არმია – პოსპიტალი, პოსპიტალი – არმია.

პარაშუტისტთა ბატალიონში ვიყავი საპაერო სამხედრო ძალთა პოსპიტალი „ერბონ“-ის სარდალი სამედიცინო განხრით, ამასთანავე კვლითადაც ვიმყოფებოდი მედიცინაში თეორიის სპეციალობით.

1966 წელს დავინიშნე ისრაელის სამედიცინო ცენტრის მთავარსარდალად, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული ყველა სამხედრო პოსპიტალი.

1967 წელს ექვსდღიანი ომის დროს, პასუხისმგებელი ვიყავი არა მარტო სამხედრო პოსპიტლებზე, არამედ სამოქალაქო პირთათვის სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებზეც.

1958 წელს გავემგზავრე ამერიკაში, ბოსტონში, გავიარე სპეციალიზაცია ინფექციურ დაავადებებში.

ორი წლის შემდეგ დაბრუნდი ისრაელში და დავინიშნე მოქმედ დირექტორად „თელ ჰაშომერში“, სამედიცინო ცენტრი „შიბა“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა შვიდი განყოფილება, მათ პარალელურად ფუნქციონირებდა ინფექციური დაავადებების სპეციალური განყოფილება, რომლის ხელმძღვანელიც აგრეთვე მე ვახლდით. 1970 წლიდან დღემდე ვარ ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების პრეზიდენტი. ამასთანავე დავეწყე პედაგოგიური მოღვაწეობა, ვასწავლიდი მედიცინას თელ-ავივის ერთ-ერთ სამედიცინო კოლეჯში.

1973 წელს, ოქტომბერში, „ქიფურის ომის“ დროს, კვლავ გამოვიყვანე ვარში. ვიყავი „გოლანის დივიზიის“ მთავარსარდალი სამედიცინო განხრით. ეს პოსტი შეკავა 6 თვის განმავლობაში. შემდგომ დავინიშნე „სამედიცინო კორპუსის“ უფროსის მოადგილედ, მერე კი უფროსად. ამ თანამდებობაზე ვახლდით 1979 წლის შემოდგომამდე. სამხედრო კარიერა დავაშთავრე წოდებით „ბრიგადის გენერალი“.

1979 წელს შემოდგომაზე გაემგზავრე ინგლისში 3 თვით კვლითადაც კურსებზე.

დაბრუნების შემდგომ დავინიშნე თელ-ავივის სამედიცინო ცენტრის მთავარ დირექტორად. ცენტრის შემადგენლობაში შედიოდა 3 პოსპიტალი 1000 საწოლებზე. ცენტრალნიზაციის პროგრამის გათვალისწინებით გაუაქმე ერთი პოსპიტალი და გაუაფართოვე დანარჩენი ორი. ამასთანავე, ეს იყო სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი ინფექციურ დაავადებებში.

1984 წლიდან ორი წელიწადი ვიყავი ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გენერალური დირექტორი. შემდეგ ისევ დავებრუნე სამუშაოდ ზემოდნიშნულ სამედიცინო ცენტრში.

1922 წელს დავინიშნე „კუფათ ხოლიმ“-ების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც დღემდე ვმუშაობ.

ამასთანავე ვეწევი საზოგადოებრივ მოღვაწეობას – სამი წელია ვარ საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი.

– როგორც საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი, რა საქმიანობას ეწევი?

– ცენტრის ძირითადი საქმიანობა ქართველი ებრაელი რეპატრიანტებისათვის დახმარება სამსახურის მოვნაში, სპეციალობით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაში და სხვა. ცენტრში არის სხვადასხვა სექციები სპეციალობების მიხედვით, ქალთა, სპორტსმენების და სხვა. წარმოდგენილი საბუთები აუცილებელია იყოს თარგმნილი ინგლისურად ან ებრაულად და დამოწმებული რეპატრიაციის საწყის ქვეყნებში. ყოველ კვირას მოდიან ქართველი ებრაელები და ჩვენ შეძლებისდაგვარად ვუხმარებთ. 3 წლის განმავლობაში ჩვენთან აღრიცხვაზე მყოფთა 10%-ია დაუსაქმებელი, დასაქმებულთა თითქმის 60% სპეციალობით მუშაობს. შედარებით გადატვირთულია ექიმთა ადგილები, მსურველთა ოდენობა თითქმის 50%-ით აღემატება გათვალისწინებული სამუშაო ადგილების რაოდენობას. 12000 ადგილზე 17000 მსურველია. ამიტომ ექიმებისთვის გარკვეული სირთულეებია სპეციალობით სამუშაო ადგილებით დაკმაყოფი-

ძღვრულ დაბრუნებას ცნობად დაწვდომილი პირთაგანის, დასასწავლო და მასწავლებლის შესახებ და დიდი საზოგადო მოღვაწის, პრითესორ დან მიხაელის განმარტავლების შესახებ.

პრითესორი დან მიხაელი ისრაელში ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იმავითოვლად განხლდათ ისრაელში ამოსული ქართველი ებრაელების ბუნჯეც, უდიდესი მოძაგე, რომელიც ქინისა და ლინში მხარდაჭერასა და თანხდგომის არ აკლვდა მათ.

სწორედ ბაყინი დან მიხაელის თათხნობით, აწ განსკენებულ ხამი ხუბგლამილთან ერთად მიხლდა ქართველი ებრაელების მიერ შექმნილი ცალკეული ორგანიზაციების გაერთიანება. ისრაელში მკონგრები ქართველი ებრაელებისათვის ამ მიფლქნას უდიდესი მნიშენგლობა მქონდა. ბნი დან მიხაელი მუდამ გერღში ვეცა სქართველოდან ამოსული ებრაელების, მათთვის ყველასე მნიშენგლოვან პერიოდში. დიდად მისი დაწვლი ქართველი ებრაელთა ცნოგრებაში, განსაკუთრებით მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პიზგელ, ყველასე მთულ წლებში.

თავად პრითესორი ექიმი, ბაყინი დანი, ძლასა და ღონეს არ ოზურება ქართველი ებრაელთა ახლგანხლდა თათხნობის პრითესორული ზრდისა და მათი დასაქების თვალსაზრისით.

ბეინებრი ვარ, რომ პირადად ეცნობდი ბაყინ დან მიხაელს და მის გერღით ვდექი ქართველი ებრაელებისათვის მნიშენგლოვან პერიოდში.

ღრმა სამძიძარს ვეცხლდე ბნი დან მიხაელის ოჯახს, მის ახლობლებსა და ყველამ ადამიანს, ვისთვისაც ამ დიდი პიონების განმარტავლება მძიძე დანა კლისია.

შაბათი ცური ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელნი საქართველოში

ლების მხრე. სხვა სათემოებისგან განსხვავებით ქართველი ებრაელები კარგად ორგანიზებულნი არიან. ისინი იოლად ადაპტირდებიან ისრაელში.

– ცნობილია თქვენს და, რიგა მიხაელი – ისრაელის კინოს, თეატრისა და ტელევიზიის პოპულარული მსახიობი. იქნებ, ორი-ოდე სიტყვით მოგვახსენოთ საერთოდ თქვენი ოჯახის შესახებ?

– მყავს მუღლდე და ორი ქალიშვილი (პროფესორი ერთი ექიმი, ხოლო მეორე – ადვოკატი). ჩემი ძმა პროფესორი ადვოკატი, მისი ოჯახი ცხოვრობს იერუსალიმში. ჩემი და, როგორც ჩვენ, ცხოვრობს თელ-ავივში.

მოგვხსენებთ, ის პროფესორი კინოს, თეატრისა და ტელევიზიის მსახიობია. ამჟამად აგრეთვე ხელმძღვანელობს ისრაელის ტელევიზიის მეორე არხის კომპანია „კემითის“ ახალ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს მარტოხელა (20-27 წლამდე) ქალებისა და მამაკაცებისათვის ცხოვრების მეგობრის შერჩევას და დაწვევებას.

– მოგვხსენებთ, საქართველოში მიმდინარეობს სამედიცინო რეფორმა. ისრაელში კი ჯანმრთელობის დაცვის სისტემას საფუძველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ჩაეყარა. ამიტომ საქართველოსთვის აქტუალურია ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემის გამოცდილების გაზიარება. ცნობილია, რომ თქვენი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ეს იყო. ვინაობით მოგვახსენოთ საქართველოში თქვენი ვიზიტის შესახებ.

– ისრაელში ბ-ნი ეღუარდ შვეარდნადის ვიზიტის დროს პირადად შევხვდით ერთმანეთს (აწ განსვენებულმა იცხაკ რაბინმა შეგვავხედრა), იქ შემომთავაზა საქართველოში ჩამოსვლა კონსულტაციებით ჯანმრთელობის დაცვის რეფორმასთან დაკავშირებით.

მივიღე საქართველოში პირადი მიწვევა ბ-ნი ეღუარდ შვეარდნადის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაგან.

ამ ხნის მანძილზე გარკვეული მიზეზების გამო ჩამოსვლა ვერ შეუძელი.

ამასთანავე, ამ ეტაპზე მივიღე მსოფლიოს ებრაული სააგენტო „სონხუთის“ მოწვევა, რომელშიც გათვალისწინებული იყო საქართველოში მცხოვრებ ებრაელ ექიმებთან შეხვედრა-კონსულტაციები.

„სონხუთი“ ებრაელ ექიმებთან მქონდა სამი შეხვედრა. თითოეულს ცალკე გაეყარებოდა, ჩავეუტარე კონსულტაციები შეძლებისდაგვარად მივეცი რჩევები ისრაელში აპსორბციის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წარმომადგენლებთან მქონდა ბევრი საინტერესო შეხვედრა. ვიყავი რიგ სამედიცინო დაწესებულებაში. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრმა. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სა-

მინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებზე ძირითადად განვიხილეთ სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები. ჩამოვიტანე და გაეცანენ პროექტი ისრაელის სადამზღვევო მედიცინის შესახებ. აღინიშნა, რომ საუბარი-კონსულტაციები სასარგებლო იყო მათთვის.

მოგვხსენებთ, 1995 წლის 1 იანვრიდან ისრაელში ძალაში შევიდა კანონი ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. ყოველი საავადმყოფოს საღარო ფულს სახელმწიფოსგან იღებს მათთან დაზღვეულთა რაოდენობის მიხედვით. სამედიცინო სადამზღვევო გადასახადი ხელფასიდან იქვითება პროცენტულად და მისი რაოდენობა ხელფასის რაოდენობით პირდაპირპროპორციულად იზრდება (დაახლოებით 3-5%). გადასახადისაგან თავისუფლებიან უმუშევარი რეპატრიანტები (პირველ წელს), დიასახლისები და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მაცხოვრებლები. გათვალისწინებულია, რომ სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეების სამედიცინო სადამზღვევო გადასახადი საავადმყოფოს საღაროებში უნდა შეიტანონ მალალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებმა.

3 წლამდე ბავშვების, შიღსით და ონკოლოგიურ სენულებათა დაავადებულთათვის წამლებით მომარაგება უფასოა, „კუფათ ხოლიმის“ (პოლიკლინიკის) წევრები წამლების ღირებულების 10%-მდე იხდიან.

ისრაელში არის სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სტრუქტურები, სადღელამისო ფასიანი სასწრაფო დახმარების მომსახურება, ყველა საავადმყოფო საღარო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექვემდებარება. ძირითადად „კუფათ ხოლიმ ქლალითი“, ასევე არის სამი სხვა საავადმყოფო საღარო: „მაქაბი“, „ლეუმიითი“ და „მეუხეღეთი“.

„კუფათ ხოლიმ“-ის თითოეულ წევრს ჰყავს საოჯახო ექიმი. როდესაც პოლიკლინიკა დაკეტულია, თუ ავადმყოფი სასწრაფო დახმარებას მიმართავს, პოსპიტალინიზაციის გარეშე იგი თვით ანაზღაურებს ხარჯებს, ხოლო პოსპიტალინიზაციის შემთხვევაში, ყველა ხარჯი შედის პოსპიტალინიზაციის ღირებულებაში, რომელსაც საავადმყოფო საღაროები იხდიან.

ისრაელის პოლიკლინიკების უმრავლესობა ფუნქციონირებს საავადმყოფოებთან, რომლებშიც მუშაობენ საავადმყოფოს ექიმები. უფასო მკურნალობა ან კონსულტაციები პაციენტისთვის გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს პოლიკლინიკის ოჯახის ექიმი და საავადმყოფო საღარო უწევს პოსპიტალინიზაციას, სხვა შემთხვევებში სამედიცინო მომსახურება ფასიანია.

სამედიცინო მომსახურება დაყოფილია სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით. სამწუხაროდ, არაა კომპლექსური მიდგომა. ეს საკითხი დამუშავებას მოითხოვს.

ესაუბრა მარიამ სოლომონიშვილი „მენორა“ № 6, 1996 წ.

# ახალი სამეცნიერო საზოგადოება



– მოგესალმებით ყველას, ძალზე სასიამოვნო ფაქტია, რომ უნივერსიტეტში „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი კულტურული ცენტრი“ გაიხსნა. ცენტრი საშუალებას იძლევა ებრაული ენისა და ჰუმანიტარული საგნების შესწავლის კოორდინაცია მოახდინოს. ეს, მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია. მინდა ცენტრს წარმატებები ვუსურვო. ქნმა რუსუდან ლორთქიფანიძემ სიტყვით გამოსვლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვა: პროფესორი ზურაბ კეენაძე, ბიზნესმენი ილია მოსიაშვილი და საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი ისრაელში **ჯემალ აჯიაშვილი**.

**26 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი კულტურული ცენტრის“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდა ინტელიგენცია, მასმედია, უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები. სტუმრებს მასპინძლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე და ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე უწევდნენ.**

**უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გამომდინარე იყო დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები. შეხვედრა ს. ს. ორბელიანის სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ მარი კალანდაძეს მიჰყავდა. პრეზენტაცია უნივერსიტეტთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა „მრავალკამიერით“ გახსნა, რის შემდეგაც უნივერსიტეტის რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე მიესალმა შეკრებილ საზოგადოებრიობას:**

ერთობები განსაკუთრებულია იმით, რომ ჩვენ ებრაელობა გვყავს – ქართველი ებრაელობა, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა იქმნება ასეთი მასშტაბის „ქართულ-ებრაული ურთიერთობათა შემსწავლელი კულტურული ცენტრი“. ეს მიმართა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად. მინდა ყველას მოგილოცოთ და ალბათ, ყველა ჩვენთანაა (უნივერსიტეტის თანამშრომლები მყავს მხედველობაში) მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ დიდი და მნიშვნელოვანი საქმის შესრულებაში. მინდა მოვიგონო განსვენებული ანდრია აფაქიძე. აქ ბ-ნი გვიღამაძემ გვესწრება, ამ ორი ადამიანის თავდადებათა არაერთი საქმე გაკეთებულა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში. მინდა ბ-ნ ნათან ბააზოვს მივულოცო სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, რომელიც მან ქართული პოეზიის ანთოლოგიის თარგმნისათვის მიიღო. ასე სრულად გამოცემული ანთოლოგია არ მინახავს და ვთვლი, რომ



**ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სამართავლოში ვახტანგ ცხრი:**

– ძვირფასო საზოგადოებო, ქალბატონებო და ბატონებო! მოხარული ვარ, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუდაიკის კაბინეტის ბაზაზე შეიქმნა ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. ამ ცენტრის დაარსება ხელს შეუწყობს ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვლევას, პოპულარიზაციას, ებრაული ენისა და კულტურის სწავლების შემდგომ სრულყოფას.

დღეს, ამ აუდიტორიაში იმყოფებიან ის დამსახურებული ადამიანები, რომლებმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში საფუძვლიანი ჩაუყარეს ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის კვლევას. ამ ცენტრის გახსნა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებაში. ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ უნიკალურმა ურთიერთობამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე აკავშირებს ქართველ და ებრაელ ერებს. სწორედ ეს მეგობრობა და ძმობა დაელო საფუძვლად საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოების ნაყოფიერ თანამშრომლობას ყველა სფეროში.

ამჟამად ორი ქვეყნის ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში შედის და ჩვენს წინაშე ახალი პერსპექტივები იხსნება ეკონომიკის, ტურიზმის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში. ისრაელში იზრდება ინტერესი საქართველოს, მისი კულტურისა და მეცნიერების მიმართ. ამის ერთ-ერთი დასტურია რამდენიმე თვის წინ ისრაელის არიელის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. საქართველოსა და ისრაელის მეცნიერებს თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვთ. ვფიქრობ ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი ორი ქვეყნის სამეცნიერო წრეების კავშირს კიდევ უფრო განამტკიცებს და ორივე მხარისათვის სასარგებლო ინიციატივების სულისჩამდგმელი გახდება. ისრაელის საელჩო საქართველოში მუდმივ მხარდაჭერასა და თანადგომას პირდება ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელ კულტურულ ცენტრს. წარმატებებს ვისურვებთ! დიდი მადლობა ყურადღებისათვის.



**სამართავლოში მარათა მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეზ როზენბლათი:**

– მოგესალმებით ყველას და გილოცავთ ამ დღეს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ყოველთვის ასოცირდებოდა და დღესაც ასოცირდება სასახლესთან, პროგრესთან, წინსვლასთან. ქართულ-ებრაულ ურთიერთობას მდიდარი ტრადიცია აქვს, ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება და ვითარდება. სასიამოვნოა, რომ ინიციატივა უნივერსიტეტიდან მოდის და იქმნება კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, ეს ქართველებისა და ებრაელების მიერ ერთმანეთისაგან გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ერები ათასობით წელია ერთად ცხოვრობენ და აგრძელებენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ვისურვებდი, რომ მიზნებს ჰქონოდა უფრო დიდი განვითარება, გრძელდებოდა შეხვედრები, სადაც განხილული იქნება ტრადიციები და კულტურა ორივე ერისა.



**სამართავლო-ისრაელის მემორანდუმის საზოგადოების არაპროფესორი, აკადემიკოსი როინ მებრეველი:**

– ქ-ნო უნივერსიტეტის რექტორო, ბ-ნო ისრაელის ელჩო, ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით. საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების სახელით მინდა გულწრფელი კმაყოფილება გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რაც დღეს აქ ხდება. სასიამოვნოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, კერძოდ კი იუდაიკის კაბინეტის ბაზაზე, იქმნება ცენტრი ქართულ-ებრაული კულტურისა. ეს გახლავთ იმ მნიშვნელოვანი ტრადიციების გაგრძელება, რომელიც საქართველოში ათეული წლების მანძილზე არსებობს. საიამოვნოა მინდა აღვნიშნო, რომ სემიტოლოგიურ მეცნიერებებს უნივერსიტეტში ადრედასრულ ჩაუყარა საფუძველი. 1944 წელს საგანგებოდ დაიწყო ებრაული ენის შესწავლა, განსაკუთრებით კი ებრაული კულტურის შესწავლა. გამოჩინულ მეცნიერს, სემიტოლოგს კოტე წერეთელს საგანგებოდ შემოაქვს უნივერსიტეტში ებრაული კულტურის სწავლება. 1991 წლის ბოლოს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო ებრაისტიკის კათედრა, რომელმაც უკვე გარკვეული სამუშაო ჩაატარა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გულწრფელად მიხარია, რომ ბ-ნ გურამ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა იუდაიკის კაბინეტი, ძალიან საქმიანი და სერიოზული კაბინეტი, ყოველივე ამან წინ წასწია და განამტკიცა ის ურთიერთობები, რაც ებრაელ და ქართველ ხალხებს შორის არსებობს. ჩვენი ურთი-

ის ვილდო, რაც მან მიიღო, სრულიად დამსახურებულია. აქ ბრძანდება ჩემი უახლოესი კოლეგა და ფაქტობრივად საქართველო-ისრაელის საზოგადოების ხელმძღვანელი, ჩვენი სახელოვანი კოლეგა გურამ ბათიაშვილი, ჩვენ, მასთან ერთად გარკვეული საქმიანობა გვიხდება, იმედი მაქვს, რომ ბ-ნ გურამთან ერთად გარკვეულ წვლილს შევიტანთ ამ ახალდაფუძვნილ ცენტრის საქმიანობაში. წარმატებებს ვისურვებთ!

**ისრაელში სამართავლო საელჩოს უფროსი მრჩეველი ჯემალ აჯიაშვილი:**

– დღეს, მართლაც, არაჩვეულებრივი დღეა, მაგრამ ჩემი გამოცდილება მინდა დავიწყო სამადლობელით უნივერსიტეტის რექტორის ქ-ნ რუსუდანისა და რექტორატის მიმართ, რადგან ასეთი უმაღლესი ჯილდო – დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მომიწია. ეს ბევრ რამეს მავალებს. დიდი მადლობა. დღეს უაღრესად მნიშვნელოვანი დღეა, დაარსდა „ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის შემსწავლელი ცენტრი“, რომელსაც დიდი პოპულარობა და პერსპექტივა აქვს. რა თქმა უნდა, ეს ცარიელ ადგილზე არ დაწესდა, ამას წინ 2600 წლიანი ტრადიცია უძღოდა. ამ ტრადიციის საფუძველზე გრძელდება დიდი საქმეები. მინდა საზოგადოებრიობას შევახსენო, რომ საბჭოთა პერიოდში, როცა ბიბლიური კულტურა ვერ იყო პატივში, ბიბლიური კულტურის მიმართ არ იყო კარგი დამოკიდებულება, არსებობდა ორადორი უნივერსიტეტი უზარმაზარ სივრცეში, სადაც ბიბლიური ენა – ე. წ. ივრითი ისწავლებოდა. 1944 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას სათავეში განსვენებული კონსტანტინე წერეთელი ედგა, მეორე უნივერსიტეტი, სადაც ბიბლიური კულტურა ისწავლებოდა იყო ლენინგრადის უნივერსიტეტი. მაშინ როცა საქართველოში ისწავლებოდა ებრაული ენა, ისრაელის სახელმწიფო ჯერ დაარსებული არ იყო.

გულისტკივლით მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად იმ სტერეოტიპისა, რომელიც ისრაელში არსებობს, მაინც მგონია, რომ ქართულ კულტურას ჯერ კიდევ არ იცნობენ ჯეროვნად. მართალია, იქ არიან ქართველი ებრაელები, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომლებიც პირველ დღესანებდ ამოგვედინენ ქართული კულტურისა, მაგრამ ქართული კულტურის, მეცნიერების ქართული ანთოლოგიის წარმოჩენა არის ორმხრივი ვალი, როგორც ისრაელის საელჩოს საქართველოში, ასევე საქართველოს საელჩოს ისრაელში. როდესაც საქართველოს ელჩმა ისრაელში ბ-ნმა ლაშა ჟვანიამ რწმუნების სიგელი გადასცა ისრაელის პრეზიდენტს მოშე კაცავს, პირველი პუნქტი, რომელიც გაახმოვანა პრეზიდენტის მიმართ იყო ის, რომ, შეიცვალოს საქართველოს ებრაული დასახელება. მოგეხსენებათ ისრაელში საქართველოს „გრუზიას“ უწოდებენ, ეს არის რუსული ენის ნაბალი. როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში რუსი რეპატრიანტები ჩადიდდნენ ისრაელში დამკვიდრდა სახელი „გრუზია“. საქართველოს უნდა დაუბრუნდეს ის დასახელება, რაც იყო ტრადიციული, რაზედაც იბრძოდა ბ-ნი კოტე წერეთელი, ეს არის „გეორგია“, მით უმეტეს, რომ ისრაელში ებრაული ლექსიკოლოგიაში დაფიქსირებულია დასახელება „გეორგია“ და არა „ჯეორჯია“. ეს ენციკლოპედია გამოცემულია გასული საუკუნის 60-იან წლებში, ასე რომ ის ხიდი ტრადიციული კავშირისა, რომელიც გაიარა, უნდა აღსდგეს. ამ ცენტრის დაარსება ძალიან ბევრ სინათლეს შეიტანს ამ საქმეში, მითუმეტეს, რომ მას ისეთი თავკაცი ჰყავს, როგორც ბ-ნი გურამ ლორთქიფანიძე, და შემოიკრებს ქართული მეცნიერებისა და ქართული აზროვნების საუკეთესო ძალებს, ჩვენ, ჩვენი მხრივ ამოუდგებით მხარში ამ დიდებულ წამოწყებას, რომელიც იმედა ახალ-ახალ სასახელო და დიდებულ ფურცლებს შემატებს ამ ორი ძირძველი ერების ურთიერთობას.



**ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი:**

– მოგესალმებით და უპირველეს ყოვლისა, ნებას მივცემ საკუთარ თავს მადლობა გითხრათ მობრძანებისათვის. მოგეხსენებათ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში იკითხება და ისწავლება ებრაული ენა, მაგრამ სწორედ ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში უნდა შექმნილიყო ასეთი ცენტრი. იმ უნივერსიტეტში, სადაც 1944 წლიდან აკადემიკოს კოტე წერეთლის თაოსნობით ისწავლება ებრაული ენა. მოგეხსენებათ ებრაული სკოლა საკმაოდ ძლიერია. ამით ამყობს როგორც ქართველი, ისე ებრაელი ხალხი. ეს ფაქტი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტიდან იღებს სათავეს. მინდა უნივერსიტეტის რექტორს ქ-ნ რუსუდან ლორთქიფანიძეს და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს საქართველოში ბ-ნ შაბათი ცურს მადლობა ვუთხრა, რადგან მათი ძალისხმევით ხდება ამ ცენტრის ფუნქციონირება. რას ვისრულებს ცენტრი თავის თავზე და რა პასუხისმგებლობას იღებს ეს? ესაა ებრაული ენის სწავლების კოორდინაცია საქართველოში. თუ მი-აქციეთ ყურადღება ყველა ის ადამიანი შეყვანილი საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის რაღაცნაირად ემსახუროს ებრაული ენის სწავლებას თუ პოპულარიზაციას საქართველოში. ამიტომ ყველა ამ ადამიანთან ერთად მოხდება საერთო პროგრამის შემუშავება და იმის გათავისება, რომ დღეს სახელმწიფო არქივში უნიკალური მასალებია, რომელსაც



**რექტორი რ. ლორთქიფანიძე ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალს გადასცემს პროფესორ ზურაბ კეენაძეს**

დღის შუკი არ უნახავს. სწორედ სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა აიღოს ამ მასალების წინა პლანზე გამოწვევა მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად. მოგესხენებათ დაახლოებით 1 წლის წინათ გაკეთდა უნივერსიტეტის ფოტოგამოფენა ებრაულ სახელში. ასე რომ ცენტრის ფუნქციონირება და არსებობა ყურით მორთული არ გახლავთ. ეს საჭირო და აუცილებელია. პირველი პრობლემა რაც არის უნივერსიტეტში სტუდენტთა სტაჟირება, ისრაელში გაცვლითი პროგრამები ცოტა მოიკლებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ პრობლემის მოგვარებაში საელჩო დაგვეხმარება, რადგან საელჩოს სათავეში ბ-ნი შაბთაი ცური უდგას. ჩვენ გვყავს სამაგალი სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აქ არიან სულხან საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები. ბ-ნმა გურამ ლორთქიფანიძემ მითხრა, რომ არ მიმეჩქია ყურადღება და არ გამეჩინა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. სტუდენტებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ ისრაელს დაუკავშირდნენ. კიდევ ერთხელ მივესალმები ამ შეკრებას, ჩემი რეგალია აღნიშნეს აქ, მაგრამ ამ პირველ რიგში ებრაისტი და ებრაელი ხალხის პატრიოტი და მოყვარული გახლავართ. მზად ვარ იმ ხალხთა პირველ რიგებში მიმიღოთ, ვინც წელიწადში შეიტანს ამ ცენტრის ფუნქციონირებაში.



**მეორე ბურა ბათიაშვილი:**

– მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო, გულითადად მახარებს რომ უნივერსიტეტში იქმნება „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი კულტურული ცენტრი“, სწორედ უნივერსიტეტში იქმნება ორგანიზაცია, რომელიც უნდა გააკეთოს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საშუაო საქმე. დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი იყო და რჩება იდეების აკუმულატორად. სწორედ უნივერსიტეტის კედლებში იშვა ბევრი შესანიშნავი იდეა. სწორედ უნივერსიტეტის კედლებში იშვა იმ საზოგადოების შექმნის იდეა, რომელსაც ბ-ნი როინ მეტრეველი მეთაურობს, მხედველობაში მაქვს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება, ბ-მა როინმა შექმნა შესანიშნავი კრებული, რომელიც მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობს ქართულ-ებრაული ურთიერთობების თაობაზე, რატომ მიმაჩნია მე ასე მნიშვნელოვანად ის, რომ უნივერსიტეტში იქმნება ეს ორგანიზაცია? აქ იყო საუბარი, რომ ბ-ნმა ლაშა ჟვანია წამოჭრა საკითხი იმის თაობაზე, რომ საქართველოს უწოდონ „გეორგია“ რასაკვირველია მივესალმები ბ-ნ ლაშა ჟვანიას ინიციატივას, რომ საქართველოს ისრაელში არ უწოდებენ გრუზიას, მაგრამ უფრო მეტად მივესალმები იმას, თუ საქართველოს ისრაელში უწოდებდნენ არა ბერძნულ „გეორგიას“ ან იმ სახელს რასაც მსოფლიოში ეძახიან „ჯორჯიას“, არამედ „გურგიას“, რასაც ებრაულ წყაროებზე დაყრდნობით ყოველთვის ეძახდნენ საქართველოს და სწორედ ამას უჭერდა მხარს ბ-ნი კოტე წერეთელი. ეს მეცნიერების საქმეა და მჯერა, თქვენ ამ საქმეს გამოიკვლიეთ ისე, როგორც საჭიროა. მინდა ამ ორგანიზაციას წარმატება ვუსურვო და პატივისცემა გამოვხატო მისი მეთაურისადმი. ამ ორგანიზაციას სათავეში ბ-ნი გურამ ლორთქიფანიძე ჩაუდგა – შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი.



**„მბრალე სახლის“ პროგრამის კოორდინატორი ზაირა ღამბარაშვილი:**

– ღრმად პატივცემული საზოგადოება, მოგესალმებით. მოგესხენებათ საქართველოს ებრაელთა სამიათწლიანი ისტორია საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ის ფაქტი, რომ საქართველოში ქართველ ებრაელთა ურთიერთობები ასე მაღალ დონეზე, განსაკუთრებით ინტელიგენციის დონეზე აყვანილი ორივე ერის დამსახურებაა, რამეთუ ამ ორი ერის თანაცხოვრებამ მსოფლიოს უჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყვნენ ისინი, უფრო ტოლერანტულნი, უფრო ღმობიერნი, გამტანნი და ამტანნი. ძვირფასო მეგობრებო, დღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში ძალიან ძვირფასი ფაქტის მოწმენი გახდით, რამეთუ ის წინამორბედი, წინამძღვარი პირობები, რაც დღემდე არსებობდა, იღებენ კიდევ ერთ ახალ წვერს თავიანთ საზოგადოებაში, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ ორი ხალხის, ენის, ქვეყნის დაახლოებას. მინდა მაღლობა გადავუხადო ახალშექმნილი ცენტრის ინიციატორებს, მათ მეთაურებს, თავკაცებს, ორგანიზაციას, მინდა ბ-ნი ჯემალ აჯიშვილის სიტყვები გამოვიყენო – ალბათ, ქართულ-ებრაულ სიყვარულშია გაცხადებული ის ღრმა სიხარული რაც 21-ე საუკუნის კაცობრიობას გამოადგება. მართლაც, დღეს საქართველოდან ისრაელში წასული ებრაელი ლოცულობს საქართველოს კეთილდღეობაზე, ქართველები კი ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობას ლოცავენ და მრავალჯერ ხშიანობს ეს სიტყვები: მშვიდობა საქართველოს, შალომ ალ ისრაელ. ამ ახალშექმნილ კულტურის ცენტრს მინდა წარმატებები ვუსურვო. მისი წარმატებები ჩვენი ერების მეგობრობას და ურთიერთპატივისცემას გამოადგება.



**დ. ბააზოვის სახ. სამართლებრივი მკვლევარის მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის დირექტორი გივი ღამბარაშვილი:**

– ქრონიკალი, ბ-ნი ისრაელის ელჩო, ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები ორი ერის ურთიერთობას, რომელიც გამძობარი არის იდეებით. ეს სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, რასაკვირველია, წაადგება და ასახელებს, წარმოაჩენს იმ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს, რომლებიც ჩვენ ორ ერს შორის არსებობს. მაქვს პატივი დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობათა ასოციაციის სახელით მოგესალმით თითოეულ თქვენთაგანს. მივესალმო ამ იდეას და გამოთქვა მზადყოფნა, რომ ამ საქმეს და ცენტრს ამოუდგეთ მხარში. მინდა ჩვენი მუზეუმის მცირე ექსპონაცია წარმოგიდგინოთ. აქ არის იმ უნივერსიტეტის ნაწილი, რომელიც ჩვენს მუზეუმში არსებობს. ამ სტენდებზე წარმოდგენილია მეტად მნიშვნელოვანი მასალა და მათ შორის ბაგრატიონთა გერბი, რომელიც დაახლოებით 8 თვის მანძილზე იქარგებოდა, ეს არის ქართულ ებრაულ ურთიერთობათა მთავარი იდეოგრამა, რადგანაც ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქართველი ბაგრატიონი არიან დიდი ებრაელი მეფის დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი და სწორედ ეს გერბი, რომელიც ვახტანგ VI-ის ეპოქისაა უდისესი საგანძურია, რითაც გაცივროვნებულია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა. ბ-ნი გურამი ბრძანებდა და ყოველთვის ვსარგებლობ შემთხვევით და ვთხოვ ხოლმე მას, რომ დაწეროს ახალი „ვალი“. ახალი ვაჟია ამ ქართველებსა, ჩვენი მხრიდან რომ გაქვს გადასახდელი ქართველი ებრაელების წინაშე, რადგანაც მოგესხენებათ ამ 20 საუკუნის წინათ სწორედ ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა, ქართველმა ებრაელებმა მიიღეს, როგორც ძველი ქართველი მეისტორიე იტყვიან, იერუსალიმიდან ქრისტეს კვართი. ამ სტენდებზე წარმოდგენილია ჩვენი მოქანდაკის ბონდო სირბილაძის 26 საუკუნისა და დაკავშირებული მიდელი, რომელიც აუცილებლად დაიდგება თბილისში. ეს უნდა დადგეს 1998 წელს, იუბილესთან დაკავშირებით. აქაა წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მხატვრის ბ-ნი ჯემალ ხუციშვილის თბილისის სინაგოგა, წარმოდგენილია სახალხო მხატვრების რეზო ადამიას ბანის სინაგოგა და აგრეთვე მსოფლიოში სახელგანთქმული ბ-ნი სიმონ გერბოვის ებრაული მლოცველი კაცის პორტრეტი. არის აგრეთვე მინიატურები, რომელიც შექმნა პროფესორმა ელენე მაჭავარიანმა. კიდევ ერთხელ მივესალმები ცენტრის შექმნას და წარმატებებს გისურვებთ.

**თსუ ქართულ-მბრალე კულტურულ ურთიერთობათა სასწავლო სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ბურა ლორთქიფანიძე:**



– დღეს უნივერსიტეტში დღესასწაულია, მოხდა ქართველი საზოგადოების და ებრაული თემის წარმომადგენელთა შეხვედრა. ესაა ერთმანეთის სიყვარულის, პატივისცემის გამოხატულება. მოკლედ მოგახსენებთ სამეცნიერო საბჭოს გვერდის შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის ქნ რუსუდანი ლორთქიფანიძის დაგვლებით შემუშავებულია ცენტრის წესდება, დაწერილია სამუშაო გეგმა, რომელიც მალე გამოქვეყნდება. პირველი რაც გვინდა გავაკეთოთ, არის ის, რომ როცა აღინიშნება ხოლოვოსტის მსოფლიო დღე, ამ დარბაზში მოეწყობა დიდი გამოფენა. გარდა ამისა, როგორც გამომსვლელთა მიერ აღინიშნა გაძლიერდება ებრაული ენის, კულტურის, ისტორიის სწავლა უკვე რეფორმირებულ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. შეიქმნება ებრაული კრებული და რაც მთავარია, გამოავლენთ საისტორიო არქივში უნივერსიტეტის მასალებს, რომლებიც მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ასახავს ქართულ-ებრაულ კულტურულ ურთიერთობებს. უკვე შექმნილია ამ საარქივო მასალების გზამკვლევი და ალბათ, უნივერსიტეტი გამოსცემს ამ პატარა ნაშრომს. მომავალში გათვალისწინებულია სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში ებრაული თემის წარმომადგენლების შეყვანა. მინდა ერთი საარქივო მასალა გავაცნოთ, ესაა 1918 წლის 23 აპრილის, უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილება, რომელიც აღნიშნულია ებრაული თემის დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე. მოგახსენებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა როგორც არასახელმწიფო უნივერსიტეტი, ხალხის შემოწირულობის ხარჯზე. ჩვენ არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ასახულია დიდი დედალი, რომელიც ებრაულ თემს მიუძღვის ჩვენი უნივერსიტეტისადმი, ეს მასალებიც გამოქვეყნდება. ასე, რომ წინ დიდი და საინტერესო სამუშაო გველის. შეხვედრის დასასრულს უნივერსიტეტთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა ხალხური სიმღერები შეასრულა.

**თბილისის უნივერსიტეტის ებრაელიც აშენებდნენ**

**ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ ბურამ ლორთქიფანიძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:**

- ბ-ნი გურამ, როდის შეიქმნა ეს ცენტრი?
- უნივერსიტეტის რექტორის ქნ რუსუდანი ლორთქიფანიძის №226 ბრძანებით 2005 წლის დეკემბერში დაარსდა ქართულ-ებრაული კულტურული ცენტრი. შეიქმნა სამეცნიერო საბჭო და საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს მე.
- რას ისახავს მიზნად ცენტრის საქმიანობა?

– გადაწყვედა, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს, მიუთქმეს რომ ამის საჭიროება იგრძნობოდა, ებრაული ენის, კულტურის ისტორიის არა მარტო კვლევის, არამედ სწავლების ხარისხიც. რამდენიმე ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ჰუმანიტარული ფაკულტეტი. თუ ადრე ცალკე იყო ისტორიის, ფილოსოფიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიის, უცხო ენათა, ახლა ყველაფერი ერთ სასწავლო პროცესში გაერთიანდა. განდა შესაძლებლობა, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ებრაული კულტურის შესწავლას. მოგახსენებთ, რა დიდი ტრადიციას, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობებისა, რომელიც 26 საუკუნის მთიაცაა. ეს ადვილი სათქმელია სიტყვით. შეიძლება ვერც გავაცნობიერო რა უზარმაზარი ეპოქაა. სამაგალითია, რომ 26 საუკუნოვანი ურთიერთობა დროთა განმავლობაში არ დაკარგულა და ამ ურთიერთობამ მოგვცა გასაცნობიერი ფენომენი ქართველი ებრაელის სახით. რაც მართლა საინტერესოა და სპეციალურ კვლევას მოიცავს.

- არსებობს თუ არა კონკრეტული საარქივო მასალები, რომელიც უკვე გამოკვლეულია?
- უზარალო მასალის მოიყვან. თუ ავიღებთ ქართულ პერიოდიკას 1916 წლიდან დღემდე 300-ზე მეტი ქართული ჟურნალი და განვით გამოვიღოთ, ყველა ამ პერიოდიკაში არის მასალები ქართულ-ებრაული ურთიერთობის შესახებ, რომელსაც შესწავლა სჭირდება. საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია მრავალფეროვანი და საინტერესო მასალები ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობათა დაკავშირებით, რომელიც შესასწავლია. უნივერსიტეტში არსებულმა იუდაიკისა და ებრაული კულტურის კაბინეტმა შეძლო ამ საარქივო მასალების ნაწილობრივ აღრიცხვა და მე-17-ის საბუთებიც კი აღმოჩნდა. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რომ მე-19-ში თბილისში არსებობდა ებრაული საეკლემიკო ორგანიზაცია, არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ებრაული გიმნაზიები, დაწყებითი სკოლები. ყველაფერი ამის კვლევა უნდა მოახდინოს ცენტრმა.
- დაკომპლექტებულია თუ არა ცენტრი კადრებით?
- სამეცნიერო ცენტრი, ბუნებრივია, დაკომპლექტდება შესაბამისი კადრებით. ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ გამიზნულია ამ ცენტრმა უნდა შეადგინოს მაკორდინირებული ორგანოს დანიშნულება. კოორდი-

ნაცია უნდა გაუწიოს ებრაულ კულტურას, ენას, ხელოვნებას. ამას შესაბამისი კვლევა სჭირდება დღეს უკვე მიმდინარეობს კვლევები. გვყავს იუდაიკაში მომზადებული კადრები: ნინო გოისაშვილი, ალექსანდრა გეგეჭკორი... ალბათ მოხდება მათი დასაქმება ჩვენს ცენტრში.

- სამეცნიერო კონტაქტები მართლმადიდებელთა გაკეთ?
- სამეცნიერო კონტაქტები გვექნება ყველაფერს, სადაც არსებობს იუდაიკისა და ებრაული კულტურის კაბინეტები. ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მოსკოვთან. მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიასთან. არის ისეთი ორგანიზაცია „სიფერია“, ჩვენ მასთან ერთად ყოველთვის ვმონაწილეობთ სამეცნიერო კონფერენციებში, გვაქვს სამეცნიერო კავშირი ისრაელთან. ცენტრის სამუშაო გეგმაში შეტანილია ისრაელის უნივერსიტეტის პროფესორთა მოწვევა. გვექნება მჭიდრო კონტაქტი ისრაელის უნივერსიტეტთან.
- არსებობს გაცვლითი პროგრამები?
- გაცვლით პროგრამებს ეს ცენტრი შეიმუშავებს, აქამდე ასეთი პროგრამები არ არსებობდა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ისრაელიდან ანა გრანტმა და ნატალია სოროლოვიჩმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარშან დისერტაცია დაიცვეს.
- ექნება თუ არა ცენტრს კონტაქტები ებრაულ თემთან?
- ჩვენი არასრული მონაცემებით ებრაული ეროვნების 10 პროფესორი და კანდიდატი მუშაობს უნივერსიტეტში, 40-ზე მეტი სტუდენტია. გარდა სამეცნიერო კვლევისა, მჭიდრო კონტაქტი გვექნება ებრაულ თემთან. სწორედ ამიტომ მოეწყო ცენტრის პრეზენტაცია. პრეზენტაციის დანიშნულება ისიც იყო, რომ ფართო საზოგადოებრიობაში გაივსო რა ხდება უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი ხალხში შეგროვდა სახსრებითა და არსებული, სახელმწიფოს არავითარი წვლილი არ მიუძღვის მის დაარსებაში. ჩვენი საარქივო მონაცემებით ებრაული თემი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის დაარსებაში. გვაქვს 1919 წლის პროფესორთა საბჭოს მაღლიერების წერილი სადაც აღნიშნულია, რომ მაგალითად, ჟუთისის ებრაულ თემმა უნივერსიტეტს 200 მანეთი ოქრო შესწირა, მაშინ ეს საკმაოდ დიდი ფული იყო, ასეთი მონაცემები ბევრი გვაქვს. არსებობს ცნობები ხანა-ნაშვილის მიერ უნივერსიტეტისთვის ფულადი სახსრების გადაცემის თაობაზე, 800 ოქროა შემოწირული თბილისის ებრაელების მიერ უნივერსიტეტის დაარსებისთვის. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უნივერსიტეტი ეკუთვნის როგორც ქართველებს, ისე ებრაელებს.
- ცენტრის შექმნის ინიციატორები ვინ არიან?
- ცენტრის შექმნის ინიციატორებზე საუბარი გამიჭირდება, რადგან მე მხოლოდ შემსრულებელი, იდეის განმხორციელებელი ვარ. ვიტყვი, რომ იდეის ავტორი უნივერსიტეტის რექტორი რუსუდანი ლორთქიფანიძეა.

# საპატიო სიგელების გადაცემა



ბთაი ცური და მწერალი გურამ ბათიაშვილი.

26 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი კულტურული ცენტრის“ პრეზენტაცი-ზე ქ. ბორჯომის მერმა ბესიკ ფოფხაძემ ქ. ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს, სიგელები გადასცა.

– მაქვს პატივი გაცნობოთ იმის შესახებ, რომ ბორჯომში შესანიშნავი საღამო ჩატარდა, რომელიც ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს მიეძღვნა. ამ საღამოზე ქ. ბორჯომის გამგებების სახელით და ბორჯომის საზოგადოების მხარდაჭერით, გადაწყდა, რომ ბორჯომის მეგობრებს მიენიჭოთ ბორჯომის საპატიო მოქალაქეობა. ეს გადაწყვეტილება მიიღო ავასტურული და მადლობა გადაუხადო ბ-ნ ელჩის შაბათი ცურს მხარდაჭერისათვის და გვერდზე დგომისთვის. ბ-ნ გურამ ბათიაშვილს და ქ-ნ ნათელა პატარაკიშვილს. იმედი მაქვს, რომ თქვენ იმ ქალაქის მოქალაქეები იქნებით, რომელიც 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს, მოგვსენებათ, რომ ბორჯომი 2014 წლის ოლიმპიური თამაშების პრეტენდენტი ქალაქია. იმედი მა-

ქვს, ბ-ნ ბადრი პატარაკიშვილის დახმარებით ყველაფერი განხორციელდება. – განაცხადა ბორჯომის მერმა.

ყველა საპატიო მოქალაქის სახელით მადლობა ქ-ნმა ნათელა პატარაკიშვილმა გადაიხადა.

– მოგესალმებით ყველას, ჩვენთვის მეტად საპატიოა ბორჯომის საპატიო მოქალაქეობა, მადლობა ქ. ბორჯომის მერს, რომელმაც ეს სიგელი გადმომცა. ყოველთვის თქვენს გვერდით მივუვლით. მადლობა ყველას.

ნინო ლომია

რამდენიმე თვის წინათ ქ. ბორჯომში გამართა საღამო, რომელიც ქართველთა და ებრაელთა მეგობრობას მიეძღვნა. შეხვედრის ორგანიზატორი ბორჯომის გამგეობა, მერია და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი გახლდათ. ამ დღეს ცნობილი გახდა, რომ ბორჯომს ახალი საპატიო მოქალაქეები შეემატა: მსოფლიოს ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი ნათელა პატარაკიშვილი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შა-

საპატიო მოქალაქეობა. ეს გადაწყვეტილება მიიღო ავასტურული და მადლობა გადაუხადო ბ-ნ ელჩის შაბათი ცურს მხარდაჭერისათვის და გვერდზე დგომისთვის. ბ-ნ გურამ ბათიაშვილს და ქ-ნ ნათელა პატარაკიშვილს. იმედი მაქვს, რომ თქვენ იმ ქალაქის მოქალაქეები იქნებით, რომელიც 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს, მოგვსენებათ, რომ ბორჯომი 2014 წლის ოლიმპიური თამაშების პრეტენდენტი ქალაქია. იმედი მა-



## დიდი ზეიმი ნიუ-იორკის ქართულ-ებრაულ მეგობრობის საზოგადოებაში

2006 წლის 29 იანვარს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავში მისვლა ადრე მომინდა. ამ დღეს აქ მნიშვნელოვანი საღამო იმართებოდა: საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებით გამოცხადდა საფოსტო მარკა რაბი **აბრამ ხშილშის** პატივსაცემად.

ადგილზე მისულს ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა სინაგოგის პრეზიდენტი ბატონი რომან ზაკი დამხვდა. ის განმარტოებული, მოშორებით იდგა და ლოცულობდა. სალოცავის მეორე კუთხეში ბ-ნი სიმონ კრისელი (გაზეთ „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორი) ვიდეო აპარატურას ანლაგებდა. „მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს დროის სიმცირის და არასაკმარისი მასალის გამო, ვიმედოვნებ, ფილმი მოწონებას დაიმსახურებს.“ – გამიზიარა თავისი ფიქრი ბ-ნმა სიმონმა. სულ ცოტა ხანში კი ფილმში მოცემულმა მრავალისმთქმელმა კადრებმა მოლოდინს გადააჭარბა და ოვაცია დაიმსახურა.



დაიცვალო მისთვის“, და აგრეთვე „ადამიანი შაბათისათვის და არა შაბათი ადამიანისათვის“. დიდი რაბი 1931 წელს გარდაიცვალა. მის საპატივსაცემად 1984 წელს ისრაელში ქართველმა ებრაელებმა „ბეი-აბრაამის“ სახელობის სინაგოგა აღმართეს.

რაბი ხვიციანი განმანათლებლური მოღვაწეობა იმ დროს, როცა ქართველ ებრაელებში არცერთი საშუალო განათლების პირი არ იყო, თავისი მნიშვნელობით სცილდებოდა ორდინარული მოვლენის ფარგლებს. მისი მოღვაწეობის ღირსეული შეფასება დღეს გახდა შესაძლებელი, როდესაც ერთ დროს უწიგნური ხალხის შთამომავლები გახდნენ რამდენიმე ქვეყნის ინტელექტუალური მშვენიერება.

სინაგოგის დარბაზში ჩამოჯდარი საღამოს დაწყებას ველოდი. უეცრად წამოვდექი, წარუშლელი მოგონებითა და უსახდურო სიყვარულით გრძობით აღვივსე, როდესაც კარებში ბ-ნი ოთარ სეფიაშვილი და ბ-ნი მიხეილ როკეტლიშვილი დაეინახე. რას ვიტყვი მათ დანახვაზე? უამრავი რამის თქმის სურვილი მაქვს, მაგრამ მომავს მხოლოდ ნაწილები გარდასულ დღეთა დაუვიწყარი მოგონებებიდან: ყოველ შაბათ საღამოს გადაცემა „ილუზიონის“

სანახავად სავარძელში მოკალათებულს ცისფერი ეკრანიდან ბ-ნი ოთარი მშვიდი და სანდოიანი ღიმილით მესალმება... იგი ფილმის შესახებ საკუთარ, საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს... მერე კი ყველაფერი ყრღება და ფილმი იწყება. ყველაფერი ის იმ თაობის ქართველ ტელემედიკურებელთათვის დაუვიწყარი მოვლენა იყო. ბ-ნ ოთარის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოშვებული წიგნი „ხსოვნა“ სიმფონია: ქრონიკები და ინტერმედიები ანუ ბედი ქართველ ებრაელთა“, დარწმუნებული ვარ, ქართულენოვანი მედიტაციისთვის სასიამოვნო მოვლენად იქცევა.

სინაგოგის დარბაზი ნელ-ნელა შეივსო. საღამო დაიწყო, რომელსაც საინტერესოდ წარუძღვა გაზეთ „ფორვერტის“ მთავარი რედაქტორი, ნიუ-იორკის ებრაული ორგანიზაციების საბჭოს რუსულად მოლაპარაკე თემთან კავშირის განყოფილების დირექტორი მიხეილ ნემიროვსკი. ჩემს წინ იჯდა ამავე ორგანიზაციის აღ-

მათი სულისკვეთებით, პატრიოტიზმით. თუ ეს არა, ისინი საკუთარ არაორდინალობას დაკარგავენ და ჩვეულებრივი ებრაელები იქნებოდნენო“.

საღამოს ფონად დაყვებოდა ოპერის მომღერლის იოსებ შალომავის მიერ შესრულებული ამერიკის, ისრაელისა და საქართველოს ჰიმნები. დარბაზი დიდი ალტაცებითა და იმედია შეძახილებით შეხვდა საქართველოდან ნიუ-იორკში დროებით ჩამოსული მინისტრის ბ-ნ ვიორგე ხვიციანიშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში ახლად შემუშავებული კანონმდებლობის თანახმად, ემიგრაციაში მყოფ ყოფილ ქართველ მოქალაქეებს უფლება ექნებათ განაცხადონ შეიტანონ საქართველოს მოქალაქეობის მიღება და იმავე დროს შეინარჩუნონ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც ამჟამად ცხოვრობდნენ. მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ბ-ნმა რევაზ ადამიამ დასძინა, რომ „ეხლა ცხინვალსა და სამაჩაბლოში იმდენივე ებრაელი რომ ცხოვრობდეს, როგორც იმ დროს, საქართველოში რეგიონალური პრობლემები ნაკლებად იქნებოდაო“.



საღამოზე სიტყვით გამოსული რაბი აბრამ ხვიციანი შთამომავლები, რომელთა შორის მრავალი ცნობილი მეცნიერია, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება რაბი ხვიციანის მოღვაწეობის მნიშვნელობა, სინაგოგის გამოთქვამდნენ, რომ მწირი ინფორმაცია აქვთ მათ სახელოვან წინაპარზე.

საღამო ტრადიციული ქართული ბანკეტით დასრულდა, სადაც უხვად იყო ქართული კერძები, ქართული სიტყვა თუ ღიმილი, ხოლო ერთმა ამერიკელმა წარმომადგენელმა კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „როდესაც პირველად მოხვდი ქართულ სუფრაზე და მისი გემო ვიკემე, მივხვდი, თუ რატომ არსებობს ისრაელში ამდენი ქართული რესტორანიო“.

ნინო ჩხარაიანი

გაზეთი „დავითის ფარი“, №66 თებერვალი, 2006 ფოტო ოთარ ჯანაშვილისა

რას ვპიიხულობთ

ამ კვირასში?

რუბრიკის უძღვებამ საქართველოს მთავარი რაბინი

არიელ ლევინი



გეგანსი

ვაჭობის ძირითადი წესი და ეს და-ეხმარა თუღაინის მიღებაში. ვაჭრობის ძირითადი წესი კი, როგორც რეგლოსი გეგანსიდა, ისაა, რომ შე-იძინო საქონელი ჩალის ფასად, და-იცადო მანამ, სანამ მისი ფასი არ გაიზრდება და გაყილო ის უზარმა-ზარი მოგებით. რეგლოსი ამას ასე ხსნიდა: ებრაელობა. ამ ცხოვრებაში ისინი არაფრად უღირთ, არ უყვართ, სხულთ, აბუჩად იგდებენ, დასცი-ნიან, კაპიის ფასად არ სთვლიან, მაგრამ რა დიდა იმ ჯილდო, რომ-ელსაც ლებულოებ გამწენისაგან მომავალ სამყაროში ისინი, ვინც ჭე-შმარებენ გზას მიყვებიან.

გაიგო რა იმის შესახებ, რომ მი-სმა დისშვილმა თუღაინში მიიღო, აღრანმა დისშვილის რომში დასა-ბრუნებლად ჯარი გაგზავნა. რეგლოს-სმა მასთან მიხული ჯარისკაცებიც დაარწმუნა, მიუღო თუღაინში.

როცა აღრანმა მეორე რაზმი გა-გზავნა რეგლოსთან, მკაცრად გა-აფრთხილა ისინი, არ გამოლაპარაკე-ბოდნენ მას. რეგლოსმა გზაში ჯარი-სკაცებს ჰკითხა: „როცა ადამიანთა ჯგუფი მოგზაურობს, მაშინ ბარონი გზას უნათებს ჰერცოგს, ჰერცოგი – პრინცს, ხოლო პრინცი – ხელმწი-ფეს. ესმენათ თქვენ რაიმე იმ ხე-ლმწიფეზე, რომელიც გზას უნათებს მთელს მის ხალხს?“ „არასოდეს“ – უპასუხეს ჯარისკაცებმა.

მამ, ასე, ებრაელობა გამწენი მთი გზას უნათებდა მაშინ, როცა ისინი უდაბნოში იყვნენ – აუხსნა რეგლოს-სმა ჯარისკაცებს. როცა მთ ეს შე-იტყვეს, ყველამ მიიღო თუღაინში.

ყველაფერი ეს გვიამბობს არა მა-რტო თორის უდიდესი ბრძენის რეკ-ლოსის ნიჭიერებაზე, რომელმაც თორა ებრაელთა მამინდელ სალაპა-

რაკო ენაზე – არამეულზე თარგმნა, არამედ იმ თაობის ადამიანთა დონე-ზეც, რომელნიც ამქვეყნად ჭეშმარი-ტებას ეძებდნენ და არა სიმდიდრეს. მამ ასე, ფარაონმა შეკრიბა ჯარი და დაედგინა ებრაელებს.

ისრაელის შვილები ზღვის პირას იყვნენ, როცა დაინახეს, რომ მთი ეგვიპტის არმია ფარაონის მეთა-ურობით უახლოვდებოდა. როცა უდაბნოსკენ გაიხედეს, სადაც დამა-ღვლის იმედი ჰქონდათ, გარეული ცხოველების ხროვა დაინახეს. ებრა-ელები მიხედნენ, რომ ყოველი მხრი-დან აღვამი იყვნენ. ისე გამოდიოდა, რომ ისინი გამოუვალ მდგომარე-ობაში აღმოჩნდნენ. რატომ მიიყვანა გამწენმა ისინი ამ მდგომარეობაში? ამ კითხვასე უპასუხის გასაცემად ასეთ იგავს ყვებიან: „სოფლის მი-ღამოებში ყოფნისას მეფემ ტყვიან განწირული ხმა გაიგონა: „მიშეუ-ლეთ, მიშეუღეთ!“ იქით გაიქცა, სა-იდანაც ხმა მოდიოდა. მალე ავაზა-კთა ბანდა დაინახა, მათ დიდგვარო-ვანი ქალი შეეყვროთ. მეფემ ჯარი-სკაცებს უბრძანა დაუყოვნებლივ გა-ენთავისუფლებინათ ქალი. ცოტა ხნის შემდეგ ეს ქალი მეფეს ცოლად გაჰყვა. მაგრამ სულ მალე მეფეს ძა-ლიან უჭირდა მასში დაენახა ის ქალი, რომელიც გადაარჩინა, რა-დგან ის ყურადღებას აღარ აქცევდა და არ ესაუბრებოდა მას. მეფეს კი სურდა, რომ ის ისეთივე ყოფილიყო, როგორც ადრე იყო. ამიტომ მან დაიჭირა ავაზაკები და უბრძანა თავს დასხმოდნენ ღელოფალს. რო-გორც კი დედოფალმა დაინახა, რომ სამშრობა ელის, მაშინვე მეფეს მიმართა დასახმარებლად. მეფე დ-აკმაყოფილდა: „ჩემი გეგმა წარმატე-ბული აღმოჩნდა, ის კვლავ სა-უბრობს ჩემთან“ – გაიფიქრა მან.

როცა ებრაელები ეგვიპტელების მონებად გაყიდეს, ისინი ყოველდღე ევედრებოდნენ გამწენს, მაგრამ რო-გორც კი ისინი განთავისუფლდნენ და შეეძლოთ თავისუფლად ამოესუ-

ნთქათ, იშვიათად ლოცულობდნენ. გამწენმა თქვა: „ახლა კვლავ მსურს მოვისმინო ებრაელი ხალხის ლო-ცვა“. სწორედ ამიტომ დაადგინა მთი ფარაონი. როცა ებრაელებმა დაინა-ხეს, რომ გადარჩენა შეუძლებელია, ყველამ ერთხმად შეპლადადა გამ-ჩენს, შევედრა მას დახმარებოდა.

ჩემი მასწავლებლები, რაბი აბრაამ მალინი – კურთხეულია ამ წმინდა-ნის ხსენება, რომელმაც მეორე მსო-ფლიო ომი გაიარა, მეუბნებოდა: „ჩვენ ურწმუნო ადამიანები მხოლოდ პირველ დაბომბვაზე გვეყავდა. როცა ვერმანელებმა დაბომბვა და-იწყეს, ყველა უღონოდ განერთხა მი-წაზე, ყუმბარები კი სულ ახლოს ცვივოდა. მაშინ ყველაზე შეუპოვარი კომუნისტებიც კი ლოცულობდნენ.“

მომემ მიმართა 600000 ებრაელს (ქალღმირსა და ბავშვების გარდა), რომლებიც ეგვიპტელებს გამოვიდნენ და აღუთქვა მათ: „გამწენი იომებს თქვენს მაგიერ, თქვენ ჩუმად იყა-ვით“.

გამწენმა მომეს უთხრა: „გადეცი ებრაელებს, რომ მე შევისმინე მათი ლოცვა, შევიდნენ ზღვაში და მე მათთვის სასწაულებს ვიქმ“. ზღვაში პირველი იეპუდას ტომის მეთაური – ნახშონ ბენ ამინადავი შევიდა, მას დაწარჩენი ებრაელები მიყვნენ. როცა მას წყალი ნესტობამდე მისწვდა, ზღვა გაიპო.

ზღვის გაპობისას 10 სასწაული ჰქმნა გამწენმა ებრაელთათვის: წყალი გაყო შუაზე, ზემოდან ებრა-ელებს დამცავი საფარი გადააფარა, წყალი 12 გასასვლელად დაიყო, რათა ებრაელთა ტომებს ცალ-ცა-ლექე გაეუღოთ, მათ ფეხქვეშ მიწა გამარა, როცა ებრაელებს ეგვიპტე-ლები მიჰყვნენ, მათ ფეხქვეშ მიწა თიხად იქცა, რომელშიც ჩაუფლნენ, წყლები კლდეშავით გაბერდნენ და ამით იარებს უჩენდნენ ეგვიპტელებს, გამაგრებული წყლები მოზაიკებით მორთულ კედლებად იქცნენ, ეს კე-დლები გამჭვირვალე იყო, რაც

ხელს უწყობდა თითოეულ ტომს და-ენახა სხვა ტომის ხალხი (ეს მათ უსაფრთხოობასა და სითამამეს მა-ტებდა), კედლებზე ხელის შეხებისას იგი რბილდებოდა და ებრაელს წყლის დაღვრა შეეძლო, რის შემდე-გაც წყალი ისევ მაგრდებოდა.

ბოლოს ებრაელები ნაპირზე გა-მოვიდნენ, ეგვიპტელთა არმია კი ზღვაში დაიხრჩო მას შემდეგ, რაც ებრაელები სამშვიდობოს გამოვი-დნენ.

სიმღერა, რომელიც მომემ და ებრაელებმა გამწენს უმღერეს გამო-ხატავს ებრაელთა მადლიერების ზღვაზე გადარჩენისათვის. მაგრამ მასში არის მრავალი მითითება მო-მავალ, საბოლოო გადარჩენაზე მამი-ახის მობრძანების პერიოდში.

ცოტა ხანში ებრაელთათვის უდა-ბნოში გაჩნდა მანა, რომელიც ცვი-ოდა მიუღო ორმოცი წლის განმა-ვლობაში, ყოველდღე შაბათის გა-რდა (პარასკევს ცვიოდა ორმაგი ულუფა – ამის სამახსოვროდ ჩვენ შაბათს ორ ხალას ვდებთ მაგიდაზე). ებრაელთა სადგომებზე ცვიოდა შე-ციური პური, თბილი და საჭმელად მომზადებული. მას მრავალი სასწა-ული ერთოდა: შაბათს არ ცვიოდა, ის ორგანოებში მთლიანად მუშავდე-ბოდა, ნარჩენების გარეშე, ის ლებუ-ლოდა იმ საჭმლის გემოს, რაზედაც ადამიანი ოცნებობდა.

მან ყველა ებრაელისა და მთელი კაცობრიობისათვის იყო მაგალითი იმისა, რომ არა მხოლოდ პურია ჩვენი არსობისათვის, არამედ ადამი-ანი ცოცხლობს იმით, რასაც გამწე-ნისაგან ღებულობს. ყველაფერი მა-სზეა დამოკიდებული. ზეავანი მიწა შეიძლება გამოძრეს და მაშინ სა-კვები არ იქნება, უდაბნოში კი 40 წლის განმავლობაში საჭმლის უქმა-რისობა არ უგრძობიათ, ის ზეციდან ცვიოდა. ყველა ცოცხალ არსებას მხოლოდ გამწენი გვაძლევს საკვებს. ეს არის მანას ძირითადი გაკვეთილი.

კაბალა: კანონი და მისტიკა ებრაულ ტრადიციაში

ალექსანდრე საფრანი

ებრაელები, რომლებიც თეოლოგი-ის სიმბოლოსთან აკავშირებენ გრძობას და აზრს, ნებისყოფას და გაგებას, გონებას გულისკენ მისთვის ყველაზე მისაღები ადგილისკენ წა-რგზავნიან. გონება თავისთავსაც კი სჯობის და უმაღლეს გონად იქცე-ვა. გონება, განსჯა იმას ემსახურება, რომ შეზღუდვად მაინც შევიცნოთ ესა თუ ის საგანი. იგი კი ხსნის უსასრულობის კარს. პირველი ანა-ლიზს უკეთებს ჩვეულებრივ რეალო-ბას, მეორე – მოიცავს უმაღლეს რე-ალობას. უმაღლესი გონება არ შე-ცვლის უბრალო განსჯას, პირიქით, აძლიერებს მას.

ასე უფრო შესაძლებელია მიეუ-ახლოვდეთ მთლიან ცოდნას. მისტი-ციზმი არ ესადაგება ანდრე ჟიდის განსაზღვრას „ის, რაც გულისხმობს და მითხრობს თავდავიწყებას, გონე-ბაზე უარის თქმას“. არ შეიძლება კაბალის რედუცირება ემოციონა-ლურ მისტიციზმად, რადგან იგი არ ეფუძნება ავადმყოფურ, რომა-ნტიულ სენტიმენტალობას და არც რელიგიური შეგრძნების სუბიექტი-ვიზაციას ეწევა ისე, როგორც ამას აკეთებს მონიე.

კაბალის კაცის რელიგიურობა სათავეს არ იღებს ადამიანის „ფსი-ქოლოგიურ სისუსტეში“, რომელიც სინამდვილისა და მოქმედებისადმი შიშში, ან ნევროტოპიურ, „ტეობა-ტიურ“ მდგომარეობაში ან ჰალუცი-ნაციებში გამოიხატება. ლება, ლე-რმიტი და დიუმა სწორედ რელიგი-ური ენთუზიაზმის იდენტიფიცირე-

ბას, ბოდვასთან, ექსტაზთან ახდენენ, მაშინ როცა იგი მომდინარეობს სუ-ლის ინტენსიური ცხოვრებიდან, სწავლული ვერნე, გოდელი და ბა-რუკი ამის ახსნას ენების მიღმა სფე-რითი, სუფთა ფსიქოფიზიოლოგი-ური მდგომარეობით ცდილობენ.

კაბალის კაცი – ერთობ ნორმა-ლური, ინტელიგენტური ადამიანი, რომელიც იჭვით ეკიდება ღვთაებრი-ვის ინტუიციას. მაგრამ იგი ელსრა-ფვის დახვეწის თავისი აღქმა და გაგება. ამასთან ერთად მისი რელი-გიურობა ყოველთვის ხასიათდება გონიერული მამაცობით და გამო-თვლილი რისკით.

კაბალა არ ცნობს მყისიერ „გა-მონათებას“, რომელსაც ფარად უჩანს გონი და განსჯა. მაგრამ ინტუიციამ შესაძლოა მოულოდნე-ლად გაიფლოს, თუ ადამიანმა ზე-ციურ სამყაროში ასეთი ზვედრი და-იმსახურა. მიუღებელია დაეყრდნო ინტუიციას, რადგან შეიძლება იგი მყისიერად გაქრეს კიდეც. ხილულ და უხილავ საგანთა არსის წვდომა მხოლოდ გამუდმებული, ბეჯითი შრომით მიიღწევა.ღვთიური შუქი ანათებს, მაგრამ არ აბრმავეს. იგი აღსავსეა სიდიადით. კაბალის და ებრაული მისტიკის ფუძემდებლური წიგნი „ზოარი“ გახლავთ. „ზოარი“ ნიშნავს „ნათებას“, „მანათობელს“ ეს შუქი მზერას ასხივოსნებს. იგი ნათელია და სუფთა. ამ სწავლების ასევე მნიშვნელოვანი ნაწარმოების სათაურად ამ გაგებასთანაა დაკავში-რებული – „სეფერ ბაგირ“ – „ნათე-

ბის წიგნი“ მისტიკოსთა სწავლების მიხედვით, ადამის ცოდვის გამო ადამიანი მოკლებული გახლდათ ამ შუქს – იგი მართლაც ერთადერთი პრივილეგიაა. მათ ძალუბთ ამ შუ-ქში ხედავდნენ მთელ სამყაროს.

მაგრამ ეს ამაღლებული შუქი კა-ბალისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სა-თაურებში რატომ უნდა ვეჭვობოთ მას თორამიც იოლად ვიპოვებთ. თო-რას კიდევ ეძახიან „ორ“ – „შუქი ან „ორაია“ – სწავლება. აქ არის გა-საღები საბუნებისმეტყველო მეცნი-ერებისა, ისრაელის ისტორიისა, სა-იდუმლოებებში წვდომა დიდ სული-ერებას, მაღალ მორალს, ცხოვრები-სეულ სიწმინდეს საჭიროებს. ისრა-ელის ცხოვრების საიდუმლო დამო-კიდებულია იმაზე, თუ რამდენად მი-ვდევთ თორის კანონებს, რამდენად ვასრულებთ მცნებებს, რომლებიც ასე აკავშირებენ ებრაელებს და აძლევენ საშუალებას გახდნენ „სრუ-ლიად ისრაელის“ ნაწილი.

სხეულის ამითიემ ორგანოს ფუ-ნქციას სავსებით შეესაბამება სული-ერების ის ფუნქცია, რომელთა შე-სრულებასაც აღიქმები გვავალებენ. ყველა – 613 მიცვის შესრულება სხეულის ყოველ ნაწილს სიცო-ცხლისუნარიანობას ანიჭებს. გარკვე-ული აზრით, ადამიანის მთელი სხე-ული თორის გეგს მისდევს. ადამი-ანის სხეულის ორგანოთა მკრონო-სმოსი თორის აღიქმათა რიცხვს შე-ესაბამება, ხოლო სულის სტრუ-ქტურა – სხეულის სტრუქტურას. ასე რომ სხეული და სული ერთ

მთლიანობას, ადამიანის მთლიანობას ქმნიან. თორაში მოქცეულია ბუნე-ბისა და ზნეობრიობის კოსმიური კა-ნონები. თორა აერთიანებს ამ კანო-ნებს. ადამიანის სხეულის ორგანები და აღქმანი მჭიდრო კავშირში არიან, ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ამით ქმნიან ცხოვრების ცოცხალ მთლი-ანობას. თუ ადამიანი თავს არიდებს მიცვის შესრულებას, ამით იგი თა-ვისი სხეულის ამითიემ ორგანოს აჩიავეს. ერთ-ერთი ორგანოს დაზი-ანება-დასუსტება კი შეუძლებელს ხდის მიცვის შესრულებას. მორა-ლური სისუსტე და ავადმყოფობა ერთმანეთთან გახლავთ დაკავშირე-ბული. ებრაელს მიცვათა შესრუ-ლება არა მხოლოდ პიროვნულ მთლიანობას, სრულიად ისრაელის ყოფაში მთლიანად ჩართვას აღუქ-ვამს.

ისრაელის სხეული მისტიურია. მართალია იგი ხორციელი, რეალუ-რია ამ სიტყვის ეგზისტენციალური გაგებით, მაგრამ შემოქმედსა და ისრაელს შორის არსებული ურთი-ერთობით თავს ისტორიულ მი-სტიურ ტრანსტენდენტურ ხასიათს ინარჩუნებს. ისრაელის ხალხს აქვს ერთიანი სული, რომლის წყარო უზე-ნაესია.

მიცვების ზუსტი, განუხრელი შე-სრულება კაბალის კაცის, ისე რო-გორც ყოველი ებრაელის მოვალე-ობაა. ყოველი ებრაელის ცხოვრება ხდება ნამდვილი, როცა იგი მისდევს შემოქმედს და არის ნაწილი ისრა-

ელის ცხოვრებისა. ებრაელი ღმ-თთან დეკუის მხოლოდ იმ შე-მთხვევაში აღწევს, როცა იგი სხვა ებრაელებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი დიდი კაბალისტი რაბი აკობ მოშე ხარლაპი ამასწინათ წმინდა მიწაზე რომ გარდაიცვალა, მიუთითებდა, რომ თორა, როცა ამბობს: „მინდეთ ღმ-თს, ბატონს თქვენსას, და იცოცხლებს ყოველი თქვენგანი“ მრავლობით ფორმას იყენებს.

ებრაელს ძალუბს თავის თავს უბოძის „კაბალის კაცის“ ტიტული – იგი ხომ ნაწილია ტრადიციისა.

კაბალის კაცზე უფრო მეტად კა-ბალისტს უყვარს ჩასწვლავს თორის „სამოთხეს“, რათა გაიცნობიეროს მისი მისტიური საიდუმლოებანი. კა-ბალისტის ის არის, ვინც კაბალის მისტიურ პრაქტიკას ეუფლება, კაბა-ლის ყოველდღიური შესწავლა გა-უხდა მიზნად. იგი ელტვის მიცვათა ფარული აზრის ამოცნობას და განუ-ხრელიად ასრულებს მას. მოვალე-ობის თვალსაზრისით, როცა თორის მიერ მითითებულს ასრულებს, იგი არაფრით არ განსხვავდება სხვა თა-ნამორწმუნეთაგან. ცვათის კაბალი-სტური სკოლის სულიერი მამის – რაბი იცხაკ ლურიუს სწავლების მი-ხედვით, კაბალისტსა და კაბალის კაცს შორის არის „ღვრებითი გა-ნსხვავება“. პირველი უკვე არის ის, ვინც უნდა იყოს, მეორე – კაბალის კაცი – კი გახდება ის, ვინც უნდა იყოს.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი ახლო წარსული, თანამედროვეობა რომ გვაფიქვებს...



თბილისი, XX საუკუნის დასაწყისი. ქსოვილებით მოვაჭრე მოშე იოსებაშვილის ოჯახი

## ქოცოხის ცენტრი



ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრი, რომელსაც მერაბ დავარაშვილი ხელმძღვანელობს რეგულარულად ატარებს მეცადინეობებს: ფსიქოლოგიაში, ებრაულ ენაში, ლოგოგრაფიაში, მათემატიკაში, ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში. ებრაულ ტრადიციებზე ახალგა-

ზრდებს საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმე-ლეს როზენბლატი ესაუბრება. მეცადინეობა სკოლა "თიფერეთ ცვის" ტერიტორიაზე ტარდება ყოველ ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას. აღინიშნება ყველა ებრაული რელიგიური თუ სახელმწიფო დღესასწაული.

კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს სასკოლო ასაკის ვაჟთა სასი-მლორო გუნდი. ებრაულ და ქართულ სიმღერებს სოფია ბალაბანი ასწავლის. კულტურის ცენტრში ისწავლება ისრაელის სახელმწიფოს ისტორია, ამ ლექციას ახალგაზრდული კლუბის ხელმძღვანელი დათო შაფთოშვილი კითხულობს. ისრაელის სახელმწიფოს ისტორიის შესახებ მასალებით დათოს კულტურის ცენტრი ეხმარება.

პარასკევს, 3 თებერვალს წესისამებრ ლექციები ტარდებოდა. ახალგაზრდები მონდომებითა და ინტერესით ავსებდნენ ლექტორის ირაკლი ონიგავას მიერ შე-თავაზებულ ტესტს. რაბინი ავიმელეს როზენბლატი ებრაულ ტრადიციებზე ესა-უბრა, შემდეგ კი კაბალათ შაბათიც ჩაატარეს.

ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრი ყველა ახალგაზრდას ისრაელის სახელმწიფოსკენ მიმავალი გზის გაკვლევაში ეხმარება.

ინეო ლომია

## ახლო აღმოსავლური კონფლიქტი სიფრიაში

ჩვენი მკითხველისათვის, რომელსაც აინტერესებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, ალბათ, და-აინტერესებს ეს ციფრები:

ბიბლიაში იერუსალიმი 700-ჯერ არის ნახსენები, ყურანში კი ერთხელაც არ მოიხსენიება.

როცა იერუსალიმი არაბების იურისდიქციის ქვეშ იყო (1948-1967 წ. წ.) არაბი ლიდერების რა-ოდენობა იერუსალიმში უდრიდა ერთს. პალესტინის იმ ტერიტორიის, რომელზეც ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, დატოვების შემდეგ, არაბ ლტოლვილთა რაოდენობა სახელმწიფოში დაახლოებით 600 ათასია. ანტისემიტური პროგრამების შემდეგ არაბული სახელმწიფოები დატოვა დაახლოებით 600 ათასმა ლტოლვილმა. ებრაულ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომელიც ე. წ. პალესტინურ ტერიტორიაზე არსებობდა არის 3.

იმ არაბული, ან მუსლიმურ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომელიც არსებობდა ამავე ტერიტორიაზე 0-ია. 1967 წლის შემდეგ ისრაელელებმა მხოლოდ ერთი ტერიტორიის ტერიტორია აქტი განახორციელეს.

არაბებმა ან მუსლიმებმა ამ პერიოდის შემდეგ - ათასობით.

ებრაელთა რაოდენობა, რომელ-

ბიც მხარს უჭერენ ებრაელი ტერიტორიის მოქმედებას 1%-ია. პალესტინელთა რაოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ ისლამისტ ტერიტორიის მოქმედებას - 90%-ია.

მსოფლიოში არსებობს ერთი ებრაული სახელმწიფო.

დემოკრატიული ებრაული სახელმწიფოც ერთია.

მსოფლიოში არსებობს 19 არაბული სახელმწიფო. მსოფლიოში არ არსებობს დემოკრატიული არაბული სახელმწიფო.

არაბ ქალთა რაოდენობა, რომლებიც ყოველწლიურად იღუპებიან მამებისა და ძმების მიერ ჩადენილი „ღირსების სიკვდილის“ გამო ათასობითაა. ებრაელ ქალთა რაოდენობა, რომლებიც მამებისა და ძმების მიერ „ღირსების სიკვდილით“ იღუპება - ნულია.

საუღის არაბეთში ქრისტიანული ან ებრაული რელიგიის მსახურების ნებართვის რაოდენობა ნულია. მუსლიმური რელიგიური მსახურება, რომელიც ისრაელშია ნებართვით - შეუზღუდავია. არაბების რაოდენობა, რომლებსაც ნება აქვთ იცხოვრონ ისრაელის ტერიტორიაზე არაბულ დასახლებაში 1 მლნ 250 ათას ადამიანს შეადგენს. ებრაელთა რაოდენობა,

რომლებსაც უფლება აქვთ იცხოვრონ პალესტინის ავტონომიის ებრაულ დასახლებებში - ნულია.

არაბულ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებიც იყვნენ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები - 16. ისრაელი არც ერთხელ არ ყოფილა უშიშროების საბჭოს წევრი. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით ისრაელის სახელმწიფოს განმე-ცხველთა რაოდენობა - 32-ია. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით არაბულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო არაბების განმეცხვა-ვთა რაოდენობა - 0-ია. მეცნიერთა შორის, რომლებიც სწავლობენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს, ისრაელის და სიონიზმის დამცველია 1%. მეცნიერთა 100% იცავს ახლო აღმოსავლეთის სტრუქტურული და დიპლომატიური ნაირგვარობის იდეას.

მუსლიმთა რაოდენობა მსოფლიოში 1 მილიარდზე მეტია, ისლამური ტერორის წინააღმდეგ მუსლიმთა დემონსტრაციის რაოდენობა - ორი.

ისრაელის საელჩოსთან არსებული კულტურის ცენტრი

დამფუძნებელი და

გამომცემელი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიდის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30  
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის  
რაიონის სასამართლოს  
შიპრ.

რეგისტრაციის № 4/1-921



რედაქტორი

გურამ  
ბათიაშვილი